ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## თელავში ქვემეხი გაისროლეს და სახლების მინები ჩაამსხვრიეს

გვ.4

კახეთში პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან

**13 დეკემბრიდან**



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი

შაბათი – კვირა, 15 – 16 დეკემბერი, 2018 №297 (7842) ფასი: 60 თეთრი

# „არჩილ თალაკვაძე სააკაშვილს დასდევდა და „მიშა მაგარიას" ხმის ჩახლეჩამდე უმღეროდა"



გვ.3

„ვინც სისხლიან რეჟიმს ქმნიდა, დღეს ყველა „ოცნების" მოწინავე რიგებშია"

მეგი გოცირიძე: „ირაკლი ღარიბაშვილი და მანანა ბერიკაშვილი მალე მოყვებიან, ვინ დაგეგმა ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა"



## რომან გოცირიძე: „ეს ბიუჯეტი ფულის ფლანგვის ბიუჯეტია"

გვ.6

„ვალების ჩამოწერა ერთი დიდი ბლეფია"





## დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილი მარცხის ფორმულაა, გაერთიანებულ ოპოზიციას მიშასთან გამიჯვნა მოუწევს"

გვ.2

„რესპუბლიკელები" 16 დეკემბერს აქციას არ უერთდებიან



## ანტინატოისტური მოძრაობა საქართველოშიც იქნება

გვ.5

ეხება თუ არა ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოსაც?



## ავთანდილ დემეტრაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებისგან" დავალებულია"

გვ.4



## ჯონდი ბაღათურია: „ჩვენ შევაჩერეთ უცხოელებისთვის ქართული მიწის მიყიდვა"

გვ. 5

**ეკონომიკა** გვ.6



### „დაფინანსება არ უნდა მოხდეს ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი გადახდას ვერ ახერხებს"



### თბილისში ბინების დღიურად გამქირავებლები წყლის გადასახადს კომერციული ტარიფით გადაიხდიან



### 2018 წელს საქართველოს საფონდო ბირჟა 60-მდე კომპანიამ დატოვა

ISSN 1987-9385

**3** გრიგოლ გეგელია: „გამოვიდეს ირაკლი კობახიძე და იყაროს კენჭი, სავარაუდოდ, 25-30 ხმა ექნება, გიორგი მარგველაშვილი კი სალომე ზურაბიშვილს მოუგებდა"

**5** საქართველოში, შესაძლოა, ახალი ორგანო – მიწის სააგენტო შეიქმნას

**2** 7 წლის გოგონა: „30 წლის კაცმა პირზე ხელი ამაფარა და კედელზე ამაყუდა"

**4** თბილისში 4 ახალგაზრდა დაჭრეს

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილი მარცხის ფორმულაა, გაერთიანებულ ოპოზიციას მიშასთან გამიჯვნა მოუწევს“

## „რესპუბლიკელები“ 16 დეკემბერს აქციას არ უერთდებიან

იაგო ნაცვლიშვილი

**16 დეკემბერს თელავში ახლად არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაა დაგეგმილი. პარალელურად გაერთიანებული ოპოზიციის აქცია გაიმართება. შეუერთდება თუ არა აქციას „რესპუბლიკური პარტია“, რომელმაც მის საპრეზიდენტო კანდიდატს მეორე ტურში მხარი დაუჭირა? — ამ თემაზე და პარლამენტში არსებულ დაპირისპირების თაობაზე „ახალი თაობა“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, დავით ბერძენიშვილს ესაუბრა:**

***— რბილად რომ ვთქვათ, პარლამენტში არასასიამოვნო კადრები ვნახეთ, ჩხუბი არ არის ქართული პარლამენტისთვის ახალი, თუმცა ბოლო პერიოდში აღარ ყოფილა. რაც ვნახეთ წინასაარჩევნო დაპირისპირების დროს, ეს ხომ არ არის იმის გაგრძელება უკვე პარლამენტში?***

— პარლამენტში ხელისუფლებას 4/5 აქვს, ახლა „პატრიოტთა ალიანსი“ ამ ხელისუფლების ავანგარდშია. ღიმილის მომგვრელი იყო ირმა ინაშვილის ქმედება. კარგია, რომ გარანტირებული გაქვს, როდესაც ქალი ხარ და არც ხელს დაგარტყამენ და არც შეურაცხყოფას მოგაყენებენ. ამ დროს ინაშვილის ყოველი სიტყვა იყო შეურაცხმყოფელი პარლამენტარიზმის, საკუთარი თავის, საკუთარი ჯგუფის და ა. შ.

ის, როგორც იქცეოდა კობახიძე თუ ცალკეული დეპუტატები, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საერთოდ როდესაც ხარ ძალიან ბევრის წევრი და აი ამ ცოტას ეუხეშები, ეს არის ჯგროს ფსიქოლოგია. ეს არის ინდივიდის საწინააღმდეგო ქმედება. გული მწყდება, რომ ისეთი ძალიან მაგარი მსახიობი, როგორიც არის ბატონი ზაზა პაპუაშვილი, პარლამენტში დეპუტატობით თავს რითი ამახსოვრებს საზოგადოებას ვხედავთ. ის გაცილებით უკეთესი მსახიობია, ვიდრე დეპუტატი. საერთოდ არ ვარგა უხეშობა და, მით უმეტეს, უმრავლესობის. ამასთანავე ეს აღრმავებს დაპირისპირებას და კონფლიქტს. იმიტომ, რომ ძალთა ბალანსი საზოგადოებაში ხელისუფლებასა და არახელისუფლებას შორის პრინციპულად სხვაა, ვიდრე პარლამენტში. როდესაც არის პროცენტები 38-62%-ზე, ანუ 40%-ზე ნაკლები როდესაც აქვს ხელისუფლებას და 60% მისი მოწინააღმდეგე როდესაც არის, ეს სხვა ვითარებას იძლევა, ვიდრე ეს, რაც ახლა, როცა 80% ხელისუფლებას აქვს და 20% მის მოწინააღმდეგეებს. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო გაღრმავება ამ შეუსაბამობის არ არგია არც მმართველ პარტიას და არც საზოგადოებას და არც სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, მტრის ხატზე აგებული პოლიტიკა ეს არის ერთადერთი შესაძლო პოლიტიკა, რომ ივანიშვილმა პოლიტიკის ფორმები ვერ ისწავლა და არც უნდა ისწავლოს.

მეორე მხრივ, სანამ მიხეილ სააკაშვილი იქნება ასეთი აგრესიული და სანამ მას ექნება წამოცდენები, რომელსაც მერე დავარცხნიან ხოლმე მისი მხარდამჭერები, სანამ ის იძლევა ბრძანებებს, რომ ხან დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს მხარდამჭერებს, ხან ამბობს, რომ გლოვის დრო არ არის და ბრძოლის დროა... მოკლედ, სხვადასხვა ფორმით რევოლუციას აანონსებს. ასეთ პირობებში სპარინგპარტნიორია სააკაშვილი ივანიშვილის. წარმოვიდგინოთ, რომ ამ დაპირისპირების უფროსები არიან სააკაშვილი და ივანიშვილი. წვრილფეხობა კი ის, რასაც პარლამენტში ვხედავთ.

***— ახსენეთ სააკაშვილი, უნდა გაგახსენოთ მისი განცხადება მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტებზე, ერთს არარაობა უწოდა, მეორეს — მახინჯი თოჯინა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამაზე?***

— საქართველოში არ ყოფილა არც ერთი პრეზიდენტი, რომლის მიმართაც განსაკუთრებული კეთილგანწყობა მქონოდა, მაგრამ არც ერთი პრეზიდენტის მიმართ არათუ მსგავსი, არამედ მიახლოებული განცხადებაც კი არც ჩემგან მახსენდება და არც შემდგარი პროფესიის და კვალიფიკაციის პოლიტიკოსისგან. ეს არ არის ის, რომლითაც უნდა შეამკო ქვეყნის პრეზიდენტი. იმის მიუხედავად, რა მოგწონს და რა არ მოგწონს მასში. საერთოდ სააკაშვილი მარცხის ფორმულაა. სანამ არის სააკაშვილი, მანამ იქნება ოპოზიცია დამარცხებული. სანამ სააკაშვილს აქვს პრეტენზია ოპოზიციის ლიდერობის, წამყვანი ოპოზიციური პარტიის თუ ბლოკის ხელმძღვანელობის, მანამ ეს პოლიტიკური ძალა მარცხისთვის განწირულია. ივანიშვილი არის სააკაშვილის სპარინგპარტნიორი.

ის არის მზად, გავიდეს რინგზე. სააკაშვილს კოალიცია კი არ უნდა სამომავლოდ, სადაც თუნდაც მისი პარტია იქნება ყველაზე მეტი გავლენის მქონე, არამედ სააკაშვილის ამოცანა არის ერთმმართველობა. მას არჩევნები უნდა, როგორც ინსტრუმენტი საკუთარი უკონტროლო ხელისუფლებისთვის. ქართველი საზოგადოების ამოცანა კი სხვა არის.

როდესაც გრიგოლ ვაშაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი ამბობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კოალიციაა მისთვის მისაღები, მაგრამ სააკაშვილი ისე იქცევა, რომ არავითარ კოალიციურობაზე არ ლაპარაკობს, მას სჭირდება ჯერ ძალაუფლება და მერე ხელისუფლის მიერ ჩატარებული არჩევნები. მან არაერთხელ დაანონსა, ახალ წელს შევხვდეთ ახალი პრეზიდენტით. მას ეს ხომ ჯერ კიდევ მეორე ტურამდე აქვს ნათქვამი. მეორე ტურის დროს სულ უფრო და უფრო უმატებდა ასეთ ტექსტებს. არჩევნების წინა დღეებში ამბობდა, რომ საქართველო დამთავრდება, 2020 წლამდე ვერ მიაღწევს და რომ საჭიროა ახლავე გამარჯვება.

მისსავე თანაგუნდელებს უთხრა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხმებს 1/5-ს ვერ მიიღებდითო. გრიგოლ ვაშაძე გამოაცხადა პრეზიდენტად. როგორც ფილარმონიაში, ისე 2 დეკემბრის მიტინგზე თქვა, მივესალმოთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტ გრიგოლ ვაშაძესო. ვაშაძეს აქამდე არასდროს უთქვამს, რომ ის თავს არჩეულ პრეზიდენტად თვლის. ამასთანავე სააკაშვილის ამ უკიდეგანო მიდგომებს ნაწილობრივ არბილებს მისივე კოალიცია და პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძეც, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ. ამაზე ძალიან მწყდება გული.

***— უნდა გაემიჯნონ სააკაშვილს?***

— ადრე თუ გვიან მოუწევთ გამიჯვნა, ან პოლიტიკიდან სახლში წასვლა. ეს ძალიან მარტივია. არათავსებადია სააკაშვილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები ერთმანეთთან. მე სააკაშვილისთვის მხარი არ დამიჭერია, რაც პიროვნულად და არც პარტიულად. პირველი ტურის დამთავრებისთანავე რესპუბლიკურმა პარტიამ ოფიციალურად დავუჭირეთ მხარი მეორე ტურში გასულ ოპოზიციურ კანდიდატს. ვინც არ უნდა ყოფილიყო პროდასავლური კანდიდატი, დავუჭერდით მხარს. თუ ბაქრაძე იქნებოდა, ბაქრაძეს დავუჭერდით მხარს. ვაშაძის შანსი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ბაქრაძის, ამიტომ დავუჭირეთ ოპოზიციურ კანდიდატს მხარი.

***— უსუფაშვილი რომ გასულიყო მეორე ტურში, მასაც დაუჭერდით მხარს?***

— უსუფაშვილის მეორე ტურში გასვლა არანაირად არ იყო რეალისტური. 2%-ს რომ მიიღებ, გასაგებია, რომ კონკურენტუნარიანი ვერ იქნები. ამიტომ, ეს არც განიხილებოდა. ყველაზე მაღალი ალბათობით იქნებოდა ვაშაძე და თეორიულად შესაძლებელი იყო ვაშაძეც, სხვა არავინ. ეს დაადასტურა შედეგებმაც.

„რესპუბლიკურმა პარტიამ“ მისი მოკრძალებული შესაძლებლობების ფარგლებში ბევრი მოახმარა ოპოზიციის კანდიდატს ვაშაძეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველ ტურში მან მიიღო 600.000 ხმა, სადაც ნახევარი ან 40% მაინც არამაშისტური ხმები, ამიტომ უამრავმა არამიშისტმა ვაშაძეს მხარი პირველ ტურშიც დაუჭირა. თუ ამას დავუმატებთ, რომ შემდეგ 200.000 ხმა დაემატა კიდევ ამას, აქ, ერთი მხრივ, არის დათო ბაქრაძისთვის მიცემული ხმები, ხოლო მეორე მხრივ, არის ის ხმები, რომელიც ანტიმიშისტურია და რომელთა უზრუნველყოფაშიც გარკვეული წახმარების ფუნქცია „რესპუბლიკელებმა“ შევასრულეთ. „არანაცებიდან“ მხოლოდ „რესპუბლიკური პარტია“ უჭერდა ღიად გრიგოლ ვაშაძეს. ვხედავდი, როგორი იყო ჩვენ მიმართ ინტერესი. გნებავთ ნახვების მხრივ, განუზომლად ბევრი იყო, ვიდრე გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ ინტერესი იყო. გასაგებია ეს, იმიტომ, რომ ეს იყო სიახლე და ეს იყო ნამატი. ეს არ არის „რესპუბლიკელების“ ხმები, მაგრამ ეს არის ხმები, რომელიც „რესპუბლიკელების“ გარეშე არ იქნებოდა.

***— ახლა რა სტრატეგია გაქვთ? შეუერთდებით 16 დეკემბრის აქციას?***

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენ არც ფილარმონიაში ვყოფილვართ, არც 2 დეკემბრის აქციაზე. მიტინგზე, სადაც სააკაშვილი აცხადებს, რომ მივესალმოთ საქართველოს პრეზიდენტ გრიგოლ ვაშაძეს... ეს ჩვენი მხრიდან პროგნოზირებადი იყო. ბუნებრივია, ჩვენ ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებდით.

რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ამაში „რესპუბლიკელები“ ისევე, როგორც სრულიად საქართველოს ოპოზიცია, ერთიანები ვართ და ვაშაძის მიერ გამოცხადებულ ამ მიდგომას ჩვენ ვიზიარებთ.

***— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას რაც შეეხება, ამასაც იზიარებთ?***

— პრიორიტეტული პროპორციული საარჩევნო სისტემაა. რაც შეეხება იმას, მისი მიღების შემთხვევაში დარჩება თუ არა დრო ვადამდელი არჩევნებისთვის, ეს მეორე რიგის ამოცანაა. მინიმუმ 1 წელიწადი სჭირდება ჩვენი კონსტიტუციით მის მიღებას, დღესვე რომ დაიწყოს ხელისუფლებამ ამაზე ზრუნვა. იმიტომ, რომ 2 სესიაზე არის მისაღები. ამიტომ, ნაკლებად რეალისტურია ვადამდელი არჩევნები. თუ იქნება, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ. მაგრამ მთავარი და არსებითი პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა, არა 2024 წელს, არამედ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებიდანვე.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია, რომ ხელისუფლება წამოიყვანოთ ამ ნაბიჯზე?***

— ხელისუფლება ეიფორიაშია. გვახსოვს, როგორი სახე ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს. მერე გამოდო საკუთარი სახე ბილბორდებზე. ძალიან ბევრი ფულიც დახარჯა. მობილიზებაც იყო, ანტიმიშამ — „მიშა მოდის, მიშა მოდის“ იმუშავა. ამას ვხსნი, რომ სააკაშვილს უნდა არა არჩევნებში გამარჯვება სხვა ძალებთან ერთად და ხელისუფლების განაწილება, არამედ შეუძლია მხოლოდ უკონტროლო მმართველობა, მაგრამ ეს არ სჭირდება ქვეყანას. ამიტომ, სანამ ის იქნება გაერთიანებული ოპოზიციის ბელადი, ან უკონტროლო მმართველი, რომელსაც ხან დაუთმობენ, ხან დაიყოლიებენ, მაგრამ ძირითადი ხაზი სააკაშვილისაა, მანამდე გაერთიანებული ოპოზიცია რჩება სააკაშვილის მძევლის მდგომარეობაში.

პროცესები ისე წავა, მგონია, რომ სააკაშვილისთვის საქართველო აქტუალური აღარ იქნება და არც საქართველოსთვის აღარ იქნება სააკაშვილი აქტუალური, რადგან სააკაშვილი გადაერთვება იქით. სხვათა შორის, სააკაშვილს არც უკრაინაში „ემუქრება“ რამე. მისი პარტია არც კი იკითხება. გადავხედე რეიტინგებს და მისი პარტია არ არის კონკურენტუნარიანი. დაიწყო უკვე ტელეგადაცემები. ჩემთვის მთავარია ის, რომ ამ 800.000 ამომრჩევლის შენარჩუნება არ არის სწორი ამოცანა.



***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს ილუზიაა. სააკაშვილის და მისი მხარდამჭერების ერთიანობა ილუზიაა. 800.000 ხმა, ეს არ არის სააკაშვილის და ვაშაძის ერთობლივი ხმები. ეს არის მეორე ტურში ოპოზიციური კანდიდატისთვის მიცემული ხმები. თუ ვაშაძე აპირებს პოლიტიკაში დარჩენას, მას მოუწევს არა 800.000-ის ხმების შენარჩუნებაზე ზრუნვა, არამედ რამდენიმე ასეული ათასი ხმის პოლიტიკურ ორიენტირად გადაქცევა. დროც კიდევ დიდი არ არის. მე ბევრი ვიცი ქართულ პოლიტიკაში, ვინც გამოჩენილა და მერე აღარ ყოფილა.

სააკაშვილთან ერთად ვაშაძეს პერსპექტივა არ აქვს. ვაშაძე თუ მოახერხებს მის დისტანცირებას, არა შიდა მოლაპარაკებებით და მიშას დაყოლიებით, არამედ მისგან რეალური დისტანცირებით, მაშინ ის შემოვა ქართულ პოლიტიკაში, თუ ამას არ დააპირებს, იქნება ერთჯერადი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც მერე ისტორიის ანალიტიკაში იქნება ფიქსირებული.

***— თუმცა ისიც ფაქტია, რომ მიშას ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეთა არც თუ მცირე ნაწილი.***

დაახლოებით 300.000-350.000 ამომრჩეველი. ჩამოყალიბდეს ეს ხალხი მიშისტურ ამომრჩევლად მინარევების გარეშე. არ ვჭირდებით დანარჩენები, იყოს მხოლოდ თვითონ. 800.000 ხმას ვერც მიშა და ვერც ვერავინ წაიღებს, ეს არის ანტიბიძინას ხმები, რომელიც ხელახლა ვერ შეიკრიბება. სააკაშვილი რადგან თავად არ იყრიდა კენჭს, ამიტომ მისცა ვაშაძეს ხმა, იმიტომ, რომ ბიძინაც არ უნდოდა. თუ სააკაშვილის პოლიტიკური ძალა იქნება, ამიტომ ეს ხმები მინიმუმ განახევრდება.

## 7 წლის გოგონა: „30 წლის კაცმა პირზე ხელი ამაფარა და კედელზე ამაყუდა“



თბილისში, გლდანში მე-7 მიკრორაიონში 30 წლამდე მამაკაცმა არასრულწლოვნების გატაცება და მათზე ძალადობა რამდენჯერმე სცადა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

7 წლის გოგონას თქმით, აღნიშნულმა პირმა საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში შეიტყუა და მასზე ძალადობა სცადა.

— 30 წლამდე იყო ბიჭი. შევედი, შემომყვა, პირზე ხელი ამაფარა და კედელზე ამაყუდა. დავიყვირე, დედა, მიშველე-თქო, თან ამ ბიჭს დავარტყი, — აღნიშნა ერთ-ერთმა გოგონამ.

საქმეზე დაწყებულია გამოძიება და ამოღებულია ჩანაწერები სათვალთვალო კამერებიდან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არჩილ თალაკვაძე სააკაშვილს დასდევდა და „მიშა მაგარიას" ხმის ჩახლეჩამდე უმღეროდა"

## „ვინც სისხლიან რეჟიმს ქმნიდა, დღეს ყველა „ოცნების" მოწინავე რიგებშია"

შორენა მარსაგიშვილი

**სად მღეროდნენ მეოცნებეები მიშას სადიდებელ სიმღერებს, რა სკანდალი აგორდება 9 თვის ბარბარე რაფალიანცის საქმეზე, რატომ გახიზნეს დმანისიდან და ბოლნისიდან ბავშვები? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

***– თქვენ სოციალურ ქსელში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერზე საინტერესო ინფორმაცია დაწერეთ, ამბობთ, რომ ის სააკაშვილის მგზნებარე მხარდამჭერი იყო და „მიშა მაგარიას" მღეროდა.***

– მოდი, დავაკონკრეტებ, არჩილ თალაკვაძე უბრალოდ კი არ მღეროდა „მიშა მაგარიას", არამედ ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა ამ სიტყვებს.

2012 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით ის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი იყო. სტუდენტებთან მიშას შეხვედრებს სულ თალაკვაძე უკეთებდა ორგანიზებას, გადარეული იყო სააკაშვილზე, ცდილობდა, რამენაირად მის გვერდით ყოფილიყო.

***– ნაციონალებზე ასეთი გადარეული თუ იყო, როგორ მოახერხა ისეთი ხარისხით გაქოცება, რომ ახლა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია?***

– მიშამ არჩევნებში დამარცხება 2012 წლის 1 ოქტომბრის გვიან საღამოს აღიარა. როგორც კი ეს განცხადება გაკეთდა, თალაკვაძემ ნაციონალების დროშა გადააგდო, „ოცნების" დროშა დაიჭირა და მოზეიმე ქოცებს შეუერთდა.

შეუერთდა თუ არა მათ, ეგრევე სისხლიან 9 წელზე დაიწყო საუბარი. ეტყობა, იმ 9 წლის განმავლობაში სისხლიანი ჯამიდან მე ვსვამდი მარტო სისხლს და თალაკვაძეს არ ვასმევდი.

***– თალაკვაძის გარდა, „ოცნებაში" ძალიან ბევრი ყოფილი ნაციონალია დაწინაურებული. ეს რა ტენდენციაა?***

– რა ტენდენციაა და არაკაცობის ტენდენციაა. ნაციონალები რომ არა, 2012 წელს ივანიშვილს პარლამენტში უმრავლესობა არ ეყოლებოდა. იმისთვის, რომ მიზნისთვის მიეღწიათ, „ოცნებამ" ყველაფერი იკადრა. გახსოვთ ალბათ ცოცხების სცენები, ამან საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ოლიგარქი სასურველ შედეგამდე მაინც ვერ მივიდა.

დადგება დრო და აუცილებლად აგებენ იმაზე პასუხს, რაც არჩევნების წინა ღამეს იკადრეს. გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 9 თვის ბავშვი დაახრჩვეს, რომ ეს ნაციონალებისთვის დაებრალებინათ.

ბარბარე რაფალიანცის ამბავმა მთელი საქართველო შოკში ჩააგდო, მაგრამ ქოცებმა ის სოფელიც კი წააგეს, სადაც ეს რიტუალური მკვლელობა ჩაიდინეს.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ეს რიტუალური მკვლელობა იყო?***

– მალე მთელი საქართველო გაიგებს, რა მოხდა იმ ღამეს კოლაგში. გავიგებთ, რანაირად აღმოჩნდა არჩევნების ღამეს ირაკლი ალასანია გურჯაანში, რომელიც, წესით, ზუგდიდში უნდა



ყოფილიყო. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ის ზუგდიდის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს.

ძალიან მალე ყველაფერი აშკარა გახდება. როცა „ოცნება" ხელისუფლებაში აღარ იქნება, პირადად ირაკლი ღარიბაშვილი და მანანა ბერიკაშვილი ილაპარაკებენ, ვინ დაუკვეთა ეს მკვლელობა და სინამდვილეში რა მოხდა.

დავუბრუნდები ისევ საპარლამენტო უმრავლესობის თემას და გავიმეორებ, რომ ივანიშვილმა პარლამენტში ჩვეულებრივი უმრავლესობაც კი ვერ შეიყვანა, აღარაფერს ვამბობ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე. სასურველ მიზანს მან მოღალატეების დახმარებით მიაღწია.

ხშირად ვამბობ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნაციონალური მოძრაობის უდიდესი შეცდომა იყო, როცა 2003 წლის არჩევნების შედეგები ნაწილობრივ გაუქმდა – პროპორციული თავიდან ჩაატარეს, მაჟორიტარულის შედეგები დარჩა. ეს იყო გაუგონარი სიბეცე. როგორ შეიძლებოდა, პროპორციული გაყალბებულიყო და მაჟორიტარული – არა.

***– მაჟორიტარულის შედეგები იმიტომ არ გაუქმდა, რომ შევარდნაძის ბლოკიდან გასული მაჟორიტარების უდიდესი ნაწილი ვარდების რევოლუციის დღესვე ნაციონალურ მოძრაობაში გადაბარგდა.***

– კი არ გადმობარგდნენ, როგორც კი პარლამენტში შევიჭერით, ეგრევე ხელები ასწიეს და ჩაგვბარდნენ.

***– თქვენც დიდი სიამოვნებით ჩაიბარეთ.***

– ჩავიბარეთ და ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. ჩაბარების შემდეგ ყველა მათგანმა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა დანარჩენ არჩევნებში 5 ნომრით იყარა კენჭი.

ეს ხალხი თავს იკლავდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას გაემარჯვა. მათ აქტიურობა არც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ შეუწყვეტიათ.

7 ნოემბრის აქცია გავიხსენე და აუცილებლად უნდა შევეხო ნიკა მელიას. ნიკა მელია იმ დღეს ნაციონალების წინააღმდეგ რუსთაველზე იდგა. ის ჩვენ გვებრძოდა და დღეს მას სისხლიანი რეჟიმის წევრს ის ხალხი ეძახის, რომელიც 7 ნოემბერს და მას შემდეგაც „მიშა მაგარიას" მღეროდა.

ამ ხალხს ვეკითხები, არ გრცხვენიათ, მელიას წარსულზე რომ ლაპარაკობთ? ან გოგიტა ვაშაძეს როგორ ეძახით სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენელს. ეს ბიჭი არსად გარეულა, თავჩაღუნული საქმეს აკეთებდა. იუსტიციის სახლები მისი მოგონებულია. ამ სისტემის არევაც უნდოდათ ქოცებს, მაგრამ გოგიტას ისე მაგრად ჰქონდა ყველაფერი გაკეთებული, არაფერი გამოუვიდათ.

დარწმუნებული ვარ, „ოცნება" დიდი სიამოვნებით მიიღებდა, მაგრამ მათ იქ გადასვლა არ იკადრეს. სამაგიეროდ, „ოცნებას" ხელებაწეული ჩაჰბარდნენ ის მაჟორიტარები, რომლებმაც 2003 წელს ჩვენ აგვიწიეს ხელები. მათ შორის იყო ეს ცნობილი ვიწია ჯაფარიძე.

***– ვიქტორ ჯაფარიძე გყავთ მხედველობაში?***

– ხო, ვიწიაზე ვამბობ. მის გარდა, ხელები კახა ოქრიაშვილმა და ენზელ მკოიანმაც აგვიწიეს. ეს უკანასკნელი კი არ მღეროდა, არამედ ბოლო ხმაზე ღრიალებდა, მიშა მაგარიაო. აბა ვინმეს გაებედა და ნინოწმინდა-ახალქალაქში სააკაშვილზე ცუდი რამე ეთქვა.

***– სამაგიეროდ, ახლა ახალქალაქსა და ნინოწმინდაში იმის თქმას ვერავინ ბედავს, რომ მიშა მაგარია.***

– იმიტომ, რომ ეს ფეოდალი მკოიანი „ოცნებას" ჩაჰბარდა და მთელ ხალხს ატერორებს. იგივე ხდება სხვა რეგიონებში, ქვემო ქართლში საერთოდ კატასტროფაა, რაზეც ივანიშვილი და ოქრიაშვილი აუცილებლად აგებენ პასუხს.

ყველამ იცის, რომ გაუმაძღარმა „ქველმოქმედმა" საყდრისი ააფეთქა. იმისთვის, რომ დამატებითი შემოსავალი მიეღო, ისტორიული მემკვიდრეობა აგვიფეთქა და აგვიოხრა, მაგრამ ესეც არ იკმარა და ახლა ხალხს ანადგურებს.

***– ხალხს რანაირად ანადგურებს?***

– იცით, რა ხდება ქვემო ქართლში? იცით, რა ხდება იმ ადგილებში, სადაც ოქროს წარმოება მიმდინარეობს?! რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. ზაფხულში იქ რამდენჯერმე ჩავედი. გადარეული დავბრუნდი – სადაც ოქროს იღებენ, ახლომახლო ბავშვის ჭაჭანება არ იყო. საშინელი სანახავია, როცა ამხელა სოფლებია გაშენებული და ბავშვების ხმა არ ისმის.

***– ბავშვები რატომ არ იყვნენ?***

– იმიტომ, რომ გახიზნული ჰყავთ. ივანიშვილის წყალობით ამ რეგიონში სიმსივნით დაავადების რისკი ძალიან მაღალია. იქაურებთან ხშირი კონტაქტი მაქვს და ვიცი, რაც ხდება. თითქმის ყველა მეორე ქალს მკერდი აქვს მოკვეთილი.

აი, ამის შემოქმედი და გამპრავებლები გვესაუბრებიან სისხლიან 9 წელზე. ყველაზე პარადოქსი ისაა, რომ 9 წელზე ის ხალხი ყვირის, ვინც თავად ქმნიდა 9 წელს.

გადახედეთ „ოცნების" შემადგენლობას, მოწინავეთა რიგებში ის ხალხია, ვინც მართლა სისხლიან რეჟიმს ქმნიდა. ახლა ეს მართლა სისხლიანები ძალიან გამწარებული არიან, იციან,



### მეგი გოცირიძე: „ირაკლი ღარიბაშვილი და მანანა ბერიკაშვილი მალე მოყვებიან, ვინ დაგეგმა ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა"

რომ ძალაუფლებას კარგავენ და ყველაფერზე მიდიან. ძალიან მალე ყველაფერი შეიცვლება. ივანიშვილი და „ოცნება" უკვე დამთავრებულია.

***– რანაირად არის დამთავრებული, ხალხი საპრეზიდენტო არჩევნების მოგებას ზეიმობს.***

– სწორედ მაგ არჩევნებზე გამოჩნდა, რომ „ოცნება" დამთავრდა. 800.000 ადამიანმა მათ წინააღმდეგ მისცა ხმა. 100.000 ბიულეტენი გაბათილებულ იქნა. გაბათილებული ბიულეტენები ძირითადად საჯარო მოხელეების მიერ იყო შემოხაზული.

***– საიდან ასკვნით, რომ საჯარო მოხელეების მიერ იყო შემოხაზული?***

– ვიცით, რომ „ოცნებამ" საჯარო მოხელეებს დაავალა, შემოხაზული ბიულეტენებისთვის სურათები გადაეღოთ. ამ ხალხმა ფოტოების გადაღების შემდეგ შემოხაზული სალომე გადახაზა და გრიგოლ ვაშაძე შემოხაზა. ცესკომ ეს ბიულეტენები გამოაცხადა ბათილად.

100.000 საჯარო მოხელე რომ ხმას შენ წინააღმდეგ მისცემს, დამთავრებული ხარ, აბა რა ხარ, თან არ დაგავიწყდეთ, რომ საჯარო სექტორში ძირითადად „ოცნების" აქტივისტები არიან დასაქმებული. ეს ნიშნავს, რომ „ოცნება" „ოცნების" აქტივისტებსაც აღარ უნდათ. ივანიშვილის რეჟიმი მალე დასრულდება. მერე რას იზამენ მკოიანი, თალაკვაძე და ოქრიაშვილი.

***– ნაციონალებმა თუ გაიმარჯვეს, ალბათ ისევ „მიშა მაგარიას" შემოსძახებენ.***

– სიამოვნებით შემოსძახებენ, მაგრამ პირადად მე ამას აღარ დავუშვებ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეთი მოღალატეები ნაცმოძრაობაში აღარ მოხვდნენ. მართალია, ამ პარტიის წევრი არ ვარ, მაგრამ მისი მხარდამჭერი ვარ და გული შემტკივა.

***– რანაირად არ ხართ ნაცმოძრაობის წევრი?***

– ჩვეულებრივად. მე ამ პარტიის თანამებრძოლი ვარ. ნაცმოძრაობის ყოფილი წევრები „ოცნების" წინა რიგებში მოიკითხეთ.

# გრიგოლ გეგელია: „გამოვიდეს ირაკლი კობახიძე და იყაროს კენჭი, სავარაუდოდ, 25-30 ხმა ექნება, გიორგი მარგველაშვილი კი სალომე ზურაბიშვილს მოუგებდა"

პოლიტოლოგ გრიგოლ გეგელიას მოსაზრებით, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ულიმღამო პრეზიდენტი იყო".

როგორც გეგელიამ განაცხადა, ერთადერთი დადებითი, რაც მარგველაშვილმა ქართული პოლიტიკის რეალობაში შეიტანა, არის ის, რომ საზოგადოებას მისი დამოუკიდებლობა აჩვენა.

– არსებითად, მეც იმ აზრის ვარ, რომ სრულიად ულიმღამო პრეზიდენტი იყო, მაგრამ ძალიან ბევრი რამის დამატება სჭირდება ამას, იმისთვის, რომ სამართლიანობა დავიცვათ. ერთი დიდი სიკეთე თუ შემოიტანა ქართულ პოლიტიკაში, იყო სწორედ ის, რომ აჩვენა – უნდა გვახსოვდეს, რომ პრეზიდენტი პირველი პირია და აჩვენა, რომ დამოუკიდებელი იყო. დამოუკიდებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ არც ერთი პარტიის დღის წესრიგს არ ატარებდა და არც ერთი პოლიტიკოსის ვიწრო დღის წესრიგს არ ატარებდა, ეს ძალიან კარგია და ამავე დროს, პრეზიდენტის კონსტიტუციური ვალდებულებაა. ეს ერთ-ერთი დადებითი მხარე იყო, შეიძლება, ერთადერთიც კი. სიმართლე გითხრათ, ბევრ სხვას მე ვერ ვპოულობ, თუმცა მე, მაინცდამაინც სწორი არ მგონია, რომ მარგველაშვილი ცდილობდა, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები ან სტატუსი გაეზარდა. პირიქით, რომ გეთხოვა, გაეზარდა, უფრო პრობლემური აღმოჩნდებოდა, რადგან ვერ გაზრდიდა, არ გაზრდიდა. მარგველაშვილს განა რეიტინგი არ შეუწყობდა ხელს, ის რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გასულიყო, მოიგებდა, სალომე ზურაბიშვილსაც მოუგებდა, რადგან ნამდვილი დამოუკიდებელი კანდიდატი თვითონ იქნებოდა. სალომე ზურაბიშვილის დამოუკიდებლობა არავის არ სწამს, – განაცხადა გეგელიამ.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ მარგველაშვილმა არჩევნებში მეორედ კენჭისყრა იმის გამო ვერ გაბედა, რომ დაბალი რეიტინგი ჰქონდა, პოლიტოლოგის აზრით, მარგველაშვილს გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ირაკლი კობახიძეს.

– საინტერესო იქნება, კობახიძე გამოვიდეს და ცალკე იყაროს კენჭი. დაახლოებით 20-25 ხმა ექნება სავარაუდოდ და მარგველაშვილი ნამდვილად იქნებოდა მინიმუმ 400 000 ხმის მფლობელი. ირაკლი კობახიძე ჩვეულებრივი ნეო-ბოლშევიკია, რომ რასაც წინ დაუდებ და ეტყვი, რომ უნდა გაამართლოს, იმას გაამართლებს. კაცი არის კონსტიტუციონალიზმის პროფესორი, ბოლოს და ბოლოს გვახსოვდეს და წარმოიდგინეთ, კონსტიტუციის პროფესორს შეუძლია თქვას, რომ 40%-ის მატარებელი პოლიტიკური პარტია არალეგიტიმურია. აქ რა პროფესიონალიზმზეა საუბარი?! – განაცხადა გეგელიამ.



# ავთანდილ დემეტრაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებისგან“ დავალებულია“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, როგორი პრეზიდენტი შეიძლება იყოს სალომე ზურაბიშვილი იმ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რომელიც კონსტიტუციის ახალი რედაქციით არის განსაზღვრული.**



***– ბატონო ავთანდილ, არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ კონსტიტუციის ახალი რედაქცია შედის ძალაში. როგორი პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი?***

– პირველ ხანებში სალომე ზურაბიშვილისგან აქტივობას არ უნდა ველოდოთ. ის ამ დროს გუნდის ჩამოყალიბებასა და სტრატეგიის შემუშავებას მოანდომებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, სალომე ზურაბიშვილმა საკუთარ თავთან უნდა მოახდინოს როგორც სახელმწიფოს მეთაურის იდენტიფიცირება. ერთი შეხედვიდანაც ჩანს, რომ ის მარტივი პიროვნება არ არის. ამიტომ ძნელი სავარაუდოა, რომ მასზე გავლენა ვინმემ ან რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ მოახდინოს, გარდა „ქართული ოცნებისა“. მმართველი პარტიის წინაშე ის მაინც დავალებულია, რადგან მეორე ტურში გადამწყვეტი როლი სწორედ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ ითამაშა.

მეორე, ის მაინც გამოცდილი სახელმწიფო ჩინოვნიკია და შეეცდება, რომ გარკვეულ საკითხებზე თავისი პოზიცია გააჩნდეს, რაც, არ გამოვრიცხავ, დისონანსში მაინცდამაინც არ მოვიდეს მმართველ პარტიასთან.

როგორც მე მაქვს ინფორმაცია, სალომე ზურაბიშვილი მონარქიის აღდგენის მომხრეა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს საკითხი მან წამოწიოს მისი პრეზიდენტობის ვადაში. თუმცა, მე როგორც ვიცი, ბოლო საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიაში ის ძლიერი პრეზიდენტის მომხრე იყო, რომელიც პირდაპირი წესით იქნება არჩეული.

***– პრეზიდენტობის დროს მისი მთავარი აქცენტი მაინც რა იქნება?***

– მე მაინც მგონია, რომ ის მთავარ აქცენტს საგარეო პოლიტიკაზე, საგარეო ურთიერთობებზე გააკეთებს. კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც და მოქმედითაც საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. მისი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარეც ის ალბათ მთავარ აქცენტს სწორედ ამ მიმართულებით გააკეთებს. ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევა მისის პრეროგატივა არ არის. თუმცა, საგარეო მიმართულებით მოქმედებებში რამდენად იქნება ის თავისუფალი „ქართული ოცნებისგან“, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

***– რატომ, აქ შეიძლება რამე დისონანსი იყოს?***

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ეს მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული, თუ რა წარმატებას მიაღწევს ის ამ მიმართულებით. თუ წარმატებული იქნება, მაშინ მას მმართველი პარტია წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ვნახოთ, რის საშუალებას მისცემს მას „ქართული ოცნება“. მოლაპარაკებები, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, ეს ყველაფერი მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით ხდება. ელჩებიც კი პრეზიდენტს არ შეუძლია დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად დანიშნოს. ეს ყველაფერი მთავრობის ინიციატივითა და მისი თანხმობით უნდა მოხდეს.

ძალიან ბევრი რამე იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ რაში ხედავს „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობასა და მის ძირითად დანიშნულებას. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის რაღაც პატარა კონფლიქტები მოხდეს.

***– მონარქიის აღდგენა ახსენეთ, ეს საკითხი რამდენად სერიოზულად შეიძლება დადგეს?***

– 21-ე საუკუნეში მე არ მახსოვს სახელმწიფო, რომელიც რესპუბლიკიდან მონარქიაზე გადასულიყო. პირიქით კი იყო. რუმინეთში იყო მცდელობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, იდეა ჩავარდა. ამიტომ ეს ინიციატივა 21-ე საუკუნის საქართველოში წარუმატებელი იქნება.

***– სალომე ზურაბიშვილი რამდენად მიმართავს ვეტოს უფლებას, თუმცა მან თქვა, რომ ვეტოს არ გამოიყენებს?***

– პრეზიდენტი ვეტომდებელი არ უნდა იყოსო. მარგველაშვილი ვეტოებს კი დებდა, მაგრამ მან არ გამოიყენა იმ შესაძლებლობათა მესამედიც კი, რომელიც მას ჰქონდა. თუნდაც მთავრობასთან მიმართებით მას ჰქონდა აქტიური შესაძლებლობა, რომ გარკვეული გავლენა მოეხდინა მთავრობის საქმიანობაზე. ეს უფლებები, რომელიც მას კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული, არ გამოიყენა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რატომ. გამოიყენებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ტრადიციაც კი არის. ამერიკის მიმავალი პრეზიდენტი ყოველთვის შეწყალების აქტით მიდის თანამდებობიდან, მარგველაშვილი კი უარს ამბობს ამაზე.

***– სალომე ზურაბიშვილს რომ დავუბრუნდეთ...***

– დიახ, სიმართლე გითხრათ, ცოტა არასერიოზული მგონია ქალბატონი სალომეს განცხადება ვეტოს არ გამოყენებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და არა რომელიმე ერთ-ერთი სახელმწიფო ორგანოს ან სტრუქტურის. ამიტომ იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც მას კონსტიტუცია აძლევს, ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაზე გავლენა უნდა მოახდინოს. რითი განისაზღვრება პოლიტიკა?! რასაკვირველია, პირველ რიგში კანონებით.

ვეტო, ეს არის იდეათა კრებული. ვეტოს რომ ადებს პრეზიდენტი კანონპროექტს, ის ვეტო იმ დროს გარკვეული იდეების მატარებელია. ვეტოთი პრეზიდენტი ამბობს, ეს კანონპროექტი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ცუდია და არ უნდა მიიღოს პარლამენტმა. ამით ის ზემოქმედებს პოლიტიკაზე. ვეტო არის შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინო პარლამენტის მიერ ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაზე.

მეორე, რითიც პრეზიდენტს ამ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ეს არის სასამართლო, რაზეც მარგველაშვილმა უარი თქვა.

***– როგორ?***

– თუ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მთავრობის აქტი კანონს ეწინააღმდეგება, მას შეუძლია ნებისმიერ სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს. თუ არ ვცდები, მარგველაშვილმა ეს უფლება მხოლოდ ერთხელ გამოიყენა.

***– სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში თქვენ ამ შესაძლებლობის გამოყენებას უშვებთ?***

– არ ვიცი, გამოიყენებს თუ არა ქალბატონი სალომე, მაგრამ მას ამის უფლება აქვს. მის პოლიტიკის განსაზღვრაზე ბევრად დამოკიდებული იქნება „ქართული ოცნებისა“ და სალომე ზურაბიშვილის ურთიერთობა.

თუმცა, მანამდე წინ საპარლამენტო არჩევნებია და ბევრი წინაპირობაა საიმისოდ, რომ კოალიციური მთავრობა შეიქმნას. თუმცა, პირველი ნახევარი წელი იქნება ნიშანი იმისა, თუ როგორი პრეზიდენტი შეიძლება იყოს სალომე ზურაბიშვილი.

# თელავში ქვემეხი გაისროლეს და სახლების მინები ჩაამსხვრიეს

## კახეთში პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან




14 დეკემბერს თელავში ინაუგურაციის რეპეტიციას მოსახლეობის დაზარალება მოჰყვა. როგორც დაგეგმილი იყო, ქვემეხებიდან ისროლეს, გასროლის დროს გამოწვეულმა ბიძგებმა კი სოფელ კურდღელაურში რამდენიმე ადგილობრივი დააზარალა. კერძოდ, ჩაიმსხვრა სამზე მეტი საცხოვრებელი სახლის მინები.

როგორც დაზარალებულები „კურიერთან“ საუბრისას ჰყვებიან, ძლიერი ხმა დაახლოებით 4 საათისთვის გაისმა, რასაც ბიძგები მოჰყვა. სროლამ მოსახლეობაში მცირე პანიკაც გამოიწვია.

სოფლის მცხოვრებლები იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც ქვემეხებია განლაგებული. მათი თქმით, ადგილზე მყოფმა სამხედროებმა მათ უთხრეს, რომ დაზარალებულთა მონაცემებს ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაწვდიან, თუმცა კურდღელაურის მცხოვრებლებთან ადგილობრივი ხელისუფლებიდან არავინ მისულა.

– 4 საათისთვის იყო. მერე გადავედით მთელი უბანი. სამი სამხედრო პირი მოვიდა და გვითხრა, თუ რამე დაზიანდა, გადავცემთ ჩემს ზემდგომსო და მერე არავინ მოსულა.

ძალიან დიდი ხმა იყო. მთელი სახლები ზანზარებდა, ფანჯრები. გამოვცვივდით ყველა. გვეგონა, თავზე დაგვენგრეოდა, – ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული ნატო ორკოდაშვილი.

* * *

– საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები ღონისძიების გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა და პრეზიდენტის საინაუგურაციო კომისიის ხელმძღვანელმა კახა კახიშვილმა ჟურნალისტებს თელავში განუცხადა.

როგორც კახიშვილმა აღნიშნა, ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმში ინაუგურაციის ღონისძიების გამართვის შემდეგ, საზეიმო მიღება თელავში, თეატრის შენობაში გაიმართება.

– აქ ბრძანდებოდა ახლად არჩეული პრეზიდენტი. ფაქტობრივად, ჩატარდა წინასაინაუგურაციო რეპეტიციაც და ვფიქრობ, ინაუგურაცია ნორმალურად ჩაივლის.

ტრიბუნები აწყობილია, ყველაფერს ვასწრებთ და ინაუგურაცია ჩაივლის ლამაზად და მშვიდად.

ბიუჯეტი ჯერ დაზუსტებული არ არის. თქვენთან მოსვლამდე ვესაუბრე კონტრაქტორ ფირმას და ბიუჯეტთან დაკავშირებით კითხვებზე ინაუგურაციის შემდეგ გიპასუხებთ, – განაცხადა კახიშვილმა.

რაც შეეხება ინაუგურაციაზე სტუმრებს, როგორც კახიშვილმა აღნიშნა, სიები კიდევ დგინდება.

მისივე თქმით, მეორე ლოკაცია იქნება საზეიმო მიღება თელავის თეატრში. – ასევე ვიხილავდით წინანდალს, თუმცა წინანდალში მიღება არ იქნება. საინაუგურაციო კომისიაში წინანდლის საკითხი არ იხილება, – განაცხადა კახიშვილმა და დასძინა, რომ სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციის შემდეგ ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში შევა.

# თბილისში 4 ახალგაზრდა დაჭრეს




თბილისში 13 დეკემბერს ოთხი ახალგაზრდა დაჭრეს.

შემთხვევა ერეკლე ტატიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ ღამის კლუბთან მოხდა. დაპირისპირება სავარაუდოდ ღამის კლუბის სტუმრებს შორის დაიწყო და გარეთ გაგრძელდა.

ოთხივე ახალგაზრდა საავადმყოფოშია გადაყვანილი. მათი მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დაკავებულია სავარაუდო დამნაშავე.

# დავით უსუფაშვილი: „გიორგი მარგველაშვილი ისტორიაში შევა არა როგორც „გიორგი ბრწყინვალე“ ან „ავ-გიორგი“, არამედ როგორც „გიორგი უცნაური“



გიორგი მარგველაშვილი ისტორიაში შევა არა როგორც „გიორგი ბრწყინვალე“ ან „ავ-გიორგი“, არამედ როგორც „გიორგი უცნაური“, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მოძრაობა „შენების“ ლიდერმა, დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის 5-წლიანი მოღვაწეობის შეფასების კომენტირებისას განუცხადა.

– გიორგი მარგველაშვილს ძალიან რთულ პერიოდში მოუწია პრეზიდენტობა. 2012 წლის ცვლილება არ იყო ძალიან მარტივი. მისი გაპრეზიდენტებიდან 2-3 კვირის განმავლობაში განვითარდა უკიდურესად დამაზიანებელი მოვლენები სახელისუფლებო გუნდში, რამაც მის პრეზიდენტობას დიდი დაღი დაასვა. გარდა ამისა, სწორედ მისი პრეზიდენტობისას მოხდა ამ ინსტიტუტის თვისობრივი ცვლილება და ტრანსფორმაცია, რისი აღქმაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა საზოგადოებისთვისაც და პოლიტიკური სპექტრისთვისაც. მარგველაშვილი, როგორც ქართული სახელმწიფოს მეთაური, ისტორიაში შევა არა როგორც „გიორგი ბრწყინვალე“ ან „ავ-გიორგი“, არამედ როგორც „გიორგი უცნაური“. იგი არც მალავდა იმას, რომ არ არის სტანდარტული საჯარო მოხელე, მასში საკმაოდ ჭარბად არის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ჩარჩოების მიღმა არსებული ინტერესები, ფილოსოფიური თუ სხვა. მე პირადად მასთან მრავალი წლის განმავლობაში მომიწია მუშაობა და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ვიხსენებ რაიმე სერიოზულ პრობლემას, წმინდა საქმიანი თვალსაზრისით. საპარლამენტო და საპრეზიდენტო ურთიერთობა დაღდასმული იყო უმრავლესობასა და პრეზიდენტს შორის არსებული მძიმე ფონის გამო. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვახერხებდით საქმიან ურთიერთობას უშიშროების საბჭოს ფორმატშიც, პრეზიდენტის საპარლამენტო საქმიანობის ფორმატშიც და ა.შ. მე პირადად არ მქონია რაიმე გადაულახავი წინააღმდეგობა მასთან, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული აზრები არაერთხელ გვქონია, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

რაც შეეხება ზოგადად მარგველაშვილის მოღვაწეობის შეფასებას, უსუფაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილება არ იყო მისთვის ერთნაირად მისაღები, ან დასაბუთებული.

– საკითხი, რომელზეც ყველაზე მეტად ვნანობ, რომ ვერ მოხერხდა პრეზიდენტის მონაწილეობით, ეს იყო უკვე განვლილი საპრეზიდენტო არჩევნების დასკვნით ეტაპზე განვითარებული მოვლენა, რომ მისი აქტიური პოზიცია ყოფილიყო დაფიქსირებული. ეს იყო უკიდურესად საჭირო, თუ იქნებოდა კანდიდატი, ამ როლშიც და თუ არ იქნებოდა და სხვა პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს, ამ შემთხვევაშიც. თუ სამწუხარო მნიშვნელოვან მოვლენებზე ვისაუბრებთ მის მოღვაწეობაში, ეს უნდა აღინიშნოს. რაც შეეხება ზოგადად მის მოღვაწეობას, მისი ყველა გადაწყვეტილება არ იყო ჩემთვის ერთნაირად მისაღები, ან დასაბუთებული, მაგალითად, შეწყალების მიმართულებით. მე ვფიქრობ, რომ შეწყალება უფრო იშვიათად უნდა ხდებოდეს, ვიდრე ხდებოდა, ასეთი ამბები არსებობს, მაგრამ თუ ავიღებთ მისი პრეზიდენტობის ხუთ წელიწადს და ამ ხუთი წლის განმავლობაში გავიხსენებთ პრემიერების, პრეზიდენტების, პარლამენტის თავმჯდომარეების და მინისტრების საქმიანობის ეფექტიანობას, მე არ ვთვლი, რომ მარგველაშვილი ვინმეზე ნაკლები ეფექტიანობით მუშაობდა. ის არ იყო ვინმეზე განსაკუთრებით ეფექტიანად მომუშავე, ან ვინმეზე განსაკუთრებით არაეფექტიანად მომუშავე, – განაცხადა უსუფაშვილმა.

# ჯონდი ბაღათურია: „ჩვენ შევაჩერეთ უცხოელებისთვის ქართული მიწის მიყიდვა“

გულიკო ბალაძე



**პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**

***— ბატონო ჯონდი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპროტესტოდ იუსტიციის სახლთან ქართული მიწების დაცვის პროცესმა როგორ ჩაიარა?***

— საკმაოდ დაძაბული დღეები იყო. ხალხისა და პოლიტიკური სპექტრის ნაწილის უპრეცედენტო კონსოლიდაცია მოხდა. საკმაოდ პროდუქტიულად, ეფექტურად და ხალხის დიდი მხარდაჭერით წარვმართეთ აქციები. მომავალ კვირაში ჩვენ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გამოვაქვეყნებთ ამ აქციის შედეგებს.

***— საბოლოო ჯამში, რამდენი განაცხადი გაკეთდა იუსტიციის სახლში მიწის შესყიდვის თაობაზე?***

— 2.500 განაცხადი იყო გამზადებული ქართული მიწის უცხოელებზე მისაყიდად, რაშიც წინასწარ იყო ფული აღებული ბეს სახით. ნახევარი ასაღები იყო დარჩენილი. შესაბამისად, აქცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის კონსოლიდაციას და ძალიან კარგი შედეგები გვაქვს.

მომავალ კვირაში ჩვენი პარტნიორი და კოლეგა, პარტიის ხელმძღვანელი ბატონი ლევან ჩაჩუა ამის თაობაზე დოკუმენტაციას ამზადებს და აქციის შედეგებს გამოვაქვეყნებთ, რა იგეგმებოდა და რის შეჩერება შევძელით.

მიწებს თურქები, არაბები, ირანელები ყიდულობენ არა იმისთვის, რომ დაამუშაონ და საქართველოს სოფლის მეურნეობა გამართონ, არამედ საქართველოში ჩამოსასახლებლად. არაბების, ინდოელების, ირანელების კომპაქტური დასახლებები კეთდება. სამი სოფელი უკვე არის.

***— სად არიან კომპაქტურად დასახლებული?***

— ერთი სოფელი საგურამოშია, მეორე — კუმისში და მესამე კი — კახეთში, სადაც არაბული დასახლებები კეთდება. ჩვენ გვაფიქრებს საქართველოს დემოგრაფიული ბალანსის ცვლილება. ვინც არის მიწის მეპატრონე, ის არის ქვეყნის პატრონი.

***— საგურამოში, ილიას სახლთან ახლოს ხომ არ კეთდება დასახლება?***

— ჩვენ ვაპირებთ, მომავალ კვირაში ჟურნალისტები მოგიწვიოთ იქ, გადაგაღებინოთ. იმედი მაქვს, თქვენი საშუალებით ქართველი საზოგადოება ნახავს, რომ პირდაპირი გაგებით ღალატს აქვს ადგილი. ხელისუფლება ცდილობს, გაყიდოს ქვეყანა. ხვალ და ზეგ ამას საქართველო კი არა, საარაბეთო ერქმევა.

***— თქვენ, რომ კახეთში მიწების შესყიდვით რუსები არიან დაინტერესებული და ისინი მასობრივად ყიდულობენ მიწებს. ამის თაობაზე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?***

— არა, ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. ჩვენ ოპონენტები გვაწვდიან მასალებს, რამდენმა რუსეთის მოქალაქემ იყიდა მიწა საქართველოში და ამაზე რატომ არ ლაპარაკობთო. ჩვენი მიზანია, საქართველოს მოქალაქეები იყვნენ ჩვენი მიწა-წყლის ბატონ-პატრონები. მეორეც — რუსეთის მოქალაქეების მხრიდან მიწების შესყიდვებიც ასევე მრავლად არის, მაგრამ მათი 80% ქართველებია.

ანუ აქედან წასული ქართველი, რომელიც რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს, მათ შორის აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. ამიტომ ამაში ჩვენ შესაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ. ძალიან კარგი იქნება, თუ ქართველები, რომლებიც წავიდნენ რუსეთში, საფრანგეთსა თუ აშშ-ში, თავის სამშობლოში დაბრუნდებიან. ჩვენი მიზანი და ამოცანაა, ქართველები საქართველოში დავაბრუნოთ. ამიტომ ამისთვის განგაშს არ ავტეხთ.

***— ანუ რუსეთის მოქალაქე რუსები საქართველოში მიწებს არ ყიდულობენ?***

— არ მაქვს ინფორმაცია. როგორც ვიცი, რუსები აქ მიწებს არ ყიდულობენ და მათი ჩამოსახლებაც არ ხდება. ჩამოსახლება ხდება ირანელების, რომლებიც კომპაქტურად სახლდებიან სოფლადაც და ქალაქშიც. ქალაქშიც, რატომღაც ცალ-ცალკე კი არ ყიდულობენ, არამედ კორპუსებს და ირანულ ანკლავებს აკეთებენ.

***— ეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ძალიან სახიფათო საკითხია. რა მიწა გვაქვს, რომ გაიყიდოს?***

— ჩვენ ძალიან ვგულშემატკივრობთ ირანელებს ირანში, თურქებს თურქეთში, ძალიან დაიჩაგრნენ სირიელები, ავღანელები, ერაყელები, რეალურად მათ ქვეყნებში მოხდა ინტერვენცია დასავლეთის მხრიდან, ადამიანებს ცხოვრება აურიეს, მაგრამ ჩვენ ამაში დამნაშავე არ ვართ და არ შეგვიძლია კარი გავუღოთ ავღანეთიდან, ერაყიდან, ირანიდან და აფრიკის ქვეყნებიდან ლტოლვილებს, არც ამდენი მიწა-წყალი გვაქვს. თანაც საქართველოში ბევრი ისეთი პრობლემაა, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას, მიწები დავუთმოთ.

***— საქართველოში შიგნით ქართველები ვერ კმაყოფილდებიან მიწის ფართობით და სხვებს რა უნდა დავუთმოთ?***

— რამდენადაც ვიცი, ათასობით ქართველი საქართველოს მოქალაქის განცხადებები დევს იუსტიციის სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. ქართველები ითხოვენ წინაპრების კუთვნილი მიწების დაკანონებას, ბაბუისა და ბებიისთვის წართმეულია საუკუნეებია, ვენახი აქვთ გაშენებული და სოფლის მეურნეობისთვის იყენებენ, მაგრამ საკუთრების სახით არ უკანონებენ.

***— რატომ არ უკანონებენ?***

— არ უკანონებენ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი შემთხვევები იყო, რომ გაყიდეს.

***— ბატონო ჯონდი, აქციაზე ლოზუნგი გაქვთ გამოტანილი: „არაბებო, ინდოელებო, ირანელებო და სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეებო, არ იყიდოთ ქართული მიწა, თორემ ფულს დაკარგავთ“. თუ მიწა იყიდეს, ფულს როგორ დაკარგავენ?***

— სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დანაშაულებრივი. ეს არის კორუფციული გარიგების შედეგი. ამის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, ყველა დამნაშავე პირი იქნება გამოვლენილი. შესაბამისად, უკანონოდ ნაყიდი მიწა იქნება ჩამორთმეული და ფული შეიძლება ვერ დაიბრუნონ. ამიტომ წინასწარ ვაფრთხილებთ.

შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქეებში აღმოჩნდნენ კეთილსინდისიერი მყიდველებიც. ამიტომ წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ უკანონო გზით მითვისებული ქონება არ შეისყიდონ და თაღლითური გარიგების მსხვერპლი არ აღმოჩნდნენ.

ამ გაფრთხილებამ იმუშავა და თვითონაც თავს იკავებენ მიწების ყიდვისგან. არა მარტო სახელმწიფოს, არამედ გადამყიდველებისგანაც, იმ მოღალატე ქართველებისგან, რომლებმაც ჯერ გადმოიფორმეს თავის სახელზე და შემდეგ ცდილობდნენ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გადაეფორმებინათ. ეს ჩვენი აქციის შედეგებია.

***— ბატონო ჯონდი, ხომ არ გეგმავთ საპროტესტო აქციას და ატოცში ჩასვლას, სადაც რუსეთმა მავთულხლართების გაბმა განაახლა?***

— აბსოლუტურად განსხვავებული საკითხებია.

***— ატოციც ხომ ჩვენი მიწაა.***

— რასაც ატოცში რუსეთი ჩვენ მიმართ აკეთებს, ცალსახად უკანონო და უსამართლოა. ზოგადად, ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის დარღვევაა. ოღონდ აქციას ვუწყობთ საკუთარ ხელისუფლებას. ცოტა გულუბრყვილოდ მიგვაჩნია რუსებისთვის აქციის მოწყობა.

იმისათვის, რომ შიდა ქართლში მცოცავი ოკუპაცია შეჩერდეს, რუსეთთან ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება. გვჭირდება პირდაპირი დიალოგი ყოველგვარი ელჩებისა და მაჭანკლების გარეშე და არა — სამარცხვინო აქციების მოწყობა, სადაც ქართველი მამაკაცები გამოდიან (მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ რაც მოხდა, იმას ვამბობ), შარვალს იხდიან და გაშიშვლებულ უკანალს უშვერენ მტერს.

ამიტომ ის აქცია მიგვაჩნია სამარცხვინოდ, რადგან ცდილობენ, საქვეყნოდ თავი მოჭრან ქვეყანას. ამიტომ ვერ მივიღებთ ვერც ერთი ოპონენტის შენიშვნას და კრიტიკას იმის გამო, რატომ არ ვდგავართ მათთან ერთად. ასეთი ადამიანები ერის სირცხვილია და უნდა იყვნენ გარიყული ქართველი საზოგადოებისგან.

# ირაკლი კობახიძე: „გუნდის განახლება აუცილებლად მოხდება“



აუცილებლად იქნება გუნდის განახლება, ახალი სისხლი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ჟურნალისტებთან საუბარში.

— გახსოვთ, რომ 2015 წელს, ასევე დავაანონსეთ გუნდის განახლება, მაშინ ორი წლის თავზე საპარლამენტო არჩევნებისთვის. ამის შედეგები იხილა საზოგადოებამ. დღესაც ვართ ჩვენ იგივე გამოწვევის წინაშე, აუცილებლად იქნება უზრუნველყოფილი გუნდის განახლება, ახალი სისხლი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და რასაც სათანადო დროს იხილავს ქართველი საზოგადოება. ეს არის ჩვენი ამოცანა, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, კონკრეტულად ვის შეეხება საკადრო ცვლილება, კობახიძე ასე პასუხობს:

— საკითხის ასე დასმა არ არის სწორი, მთავარია, გუნდის განახლება, გადახალისება, მთავარია, საბოლოო ჯამში, ის, რომ მმართველობის თითოეულმა რგოლმა იმუშაოს სათანადოდ, თუ სადმე არის ხარვეზი, ჩამორჩენა, ამას სჭირდება ჩარევა და ეს ჩარევა იქნება.

# საქართველოში, შესაძლოა, ახალი ორგანო — მიწის სააგენტო შეიქმნას



მიწის მართვის მიმართულებით საქართველოში, შესაძლოა, ახალი ორგანო – მიწის სააგენტო შეიქმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელიამ განაცხადა.

– ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის, 16 დეკემბრის შემდეგ მოხდება მიწის შესახებ ორგანული კანონის პარლამენტში ინიცირება. კანონი ითვალისწინებს, რამდენიმე ძირითად პუნქტს. მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქე – ფიზიკურ პირს არ ექნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება; უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში კი აუცილებელი იქნება – წილების 50%-ზე მეტს საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეთა ჯგუფი ან ქართული სუბიექტი ფლობდეს. ამასთან, გვაქვს ინიციატივა, რომ შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც მიწის მართვის მიმართულებით ბევრ პრობლემას დაარეგულირებს და მოაგვარებს. დღეს, რეალურად ქართული მიწის ფონდის ანალიზი არ არსებობს და მსგავსი ორგანო აუცილებელია, რადგან მოხდეს მიწის ინვენტარიზაცია – რამდენი გვაქვს სახნავი, სათიბი და ა.შ. – აღნიშნა დანელიამ.

შეგახსენებთ, სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად ინაუგურაციის შემდეგ, 16 დეკემბრიდან, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, რომლითაც იზღუდება უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრება. კერძოდ, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში.

# ანტინაცისტური მოძრაობა საქართველოშიც იქნება

## ეხება თუ არა ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოსაც?

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაციონალისტურად განწყობილი რადიკალური ჯგუფებისა და პირების დასჯისა და დაკავების მოთხოვნა საქართველოში არაერთხელ გამოთქმულა. არსებობენ დაკავებულებიც, რომლებსაც ფაშისტურ საქმიანობას ედავებიან.**

ამჯერად დაანონსდა ანტინაცისტური სახალხო მოძრაობის შექმნა. ამის ერთ-ერთ მოტივად სახელდება ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელიც ევროდეპუტატებმა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ მიიღეს.

რეზოლუცია მოუწოდებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, გაამკაცრონ ზომები და სასჯელი სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისთვის. ევროპარლამენტის შეფასებით, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ნეონაცისტური და ნეოფაშისტური ჯგუფები თავისუფლად მოქმედებენ. ამგვარი დაჯგუფებების მოქმედებებმა გამოიწვია ქსენოფობიური აფეთქებები ევროპაში. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია ნორვეგიაში 2011 წელს მომხდარი ცნობილი ტერაქტი, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.



საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის. მას ევროპარლამენტის რეზოლუცია არ ეხება. საქართველოში ქსენოფობიური განწყობები მასობრივ ხასიათს არ ატარებს. ნაციონალისტურ ჯგუფებსა და სიძულვილის გამო დანაშაულის ჩამდენებს ისედაც სჯიან. თუ ანტინაცისტური მოძრაობა გააქტიურდება, ეს გამოიწვევს რადიკალიზაციის ახალ ტალღას ქვეყანაში. რადიკალიზაცია ისედაც მაღალია და არჩევნების შემდეგ არ შენელებულა.

ევროკავშირი ნაციონალისტურ ჯგუფებსა და პარტიებს დიდი ხანია, გმობს. მიუხედავად ამისა, ისინი ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოდიან.

რამდენიმე თვის წინ ევროპარლამენტმა სერიოზული გაფრთხილება მისცა და საბჭოში ხმის ჩამორთმევით დაემუქრა უნგრეთის დაუმორჩილებელ პრემიერ ორბანს. მას, ნაციონალიზმის გარდა, კორუფციასა და არასამთავრობო ორგანიზაციების შევიწროებაშიც მოედავნენ. ორბანმა, თავის მხრივ, გამოაცხადა, რომ ეს ევროკავშირის შურისძიებაა იმის გამო, რომ უნგრეთი მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას ატარებს.

ფაშისტური განწყობები ევროდეპუტატებმა რამდენიმე წლის წინ უკრაინაშიც შეამჩნიეს და ამის გამო ქვეყანას საყვედურებიც უთხრეს. ბოლო ხანს უკრაინული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთხმად გამოდიან უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი. ისინი განსაკუთრებით „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონს აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც ეროვნული უმცირესობების სკოლები დაიხურა.

ევროპელმა ანალიტიკოსებმა ისიც დაასკვნეს, რომ უკრაინული ნაციონალიზმი უფრო ეთნიკურია, ევროპული კი – პოლიტიკური, რადგან ევროპაში ის აზიელმა და აფრიკელმა მიგრანტებმა გააძლიერეს.

შვედი რადიკალი ნაციონალისტების პარტია „შვედეთის დემოკრატები“ ჯერ კიდევ მაშინ დაარსდა, როცა ევროპაში მიგრანტების მოზღვავება არ იყო. 2013 წელს სტოკჰოლმში მათ ქვები და ბოთლები დაუშინეს ანტინაცისტური მოთხოვნებით გამოსულ დემონსტრანტებს. ამისათვის ოცზე მეტი კაცი დააპატიმრეს.

წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „შვედეთის დემოკრატებმა“ მოიპოვეს მესამე ადგილი ქვეყნის პარლამენტში. ისინი მოითხოვენ ყველა მუსლიმანი მიგრანტის ქვეყნიდან გაძევებას და გამოდიან ევროკავშირის წინააღმდეგ.

ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს ევროპის სხვა ქვეყნების არჩევნებშიც. მიგრაცია შემცირდა, თუმცა ევროპაში ისევ ხდება სისხლიანი ტერაქტები ისლამური სახელმწიფოს სახელით, რაც იმის მომასწავებელია, რომ ნაცისტურ ჯგუფებს ევროპარლამენტის რეზოლუცია ვერ შეაკავებს.

ნონა ცაბაძე

# რომან გოცირიძე: „ეს ბიუჯეტი ფულის ფლანგვის ბიუჯეტია“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, პარლამენტმა კენჭი უყარა 2019 წლის ბიუჯეტს. ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. იყო შენიშვნები, კრიტიკა. რას იტყვით თქვენ?***

– ყველაზე უცნაური ის არის, რომ ორი ბიუჯეტი მივიღეთ ერთდროულად ამ კვირაში, ერთი 2019 წლის ბიუჯეტი, ხოლო მეორე – 2018 წლის. ესენი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ორივეს აქვს ერთი და იგივე ბედი. 2019 წლის ბიუჯეტს ზუსტად იგივე ბედი ეწევა, რაც 2018-სას.

***– რისი თქმა გსურთ ამით?***

– იმის, რომ 2018 წლის ბიუჯეტი დამთავრდა წარმოუდგენელი ჩავარდნით ხარჯვით ნაწილში. წელს 1,9 მილიარდი ლარია დასახარჯი 2018 წლის ბიუჯეტიდან და დარჩენილია 12 სამუშაო დღე, ანუ ორ კვირაში უნდა დაიხარჯოს იმდენი, რაც უნდა დახარჯულიყო საშუალოდ ორი თვის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ 1,9 მილიარდიდან დაახლოებით 900 მილიონი დაიხარჯება, თუმცა ესეც პირობითია, ვინაიდან ძალიან ბევრი გასაკეთებელი საქმე გადადის მომავალი წლისათვის და დაახლოებით 1 მილიარდი ლარი იქნება ასათვისებელი მომავალ 2019 წელს.

***– ვერ მოხდება ამ თანხის ათვისება?***

– ეს ისეთი ხარჯებია, რომ ამის ათვისება ვერ მოხდება ვერც იანვარში, ვერც თებერვალში. ეს გაიწელება მთელი წლის განმავლობაში. 2019 წლის ბიუჯეტი ისედაც არარეალისტური ბიუჯეტია. აქაც ძალიან ბევრი ილუზიაა



ჩადებული, ამ 13 მილიარდს დაემატება ეს 1 მილიარდი და იქნება 14-მილიარდიანი ბიუჯეტი და მომავალ წელს, ზუსტად ამ დროს იქნება წუწუნი, რომ ვერ გავაკეთეთ, რაღაცა შეგვეშალა...

2 მილიარდი ლარია ჩადებული ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხარჯები და აქედან უდიდესი ნაწილია გზებზე. წელს მხოლოდ 600 მილიონი ლარის ღირებულების გზები გააკეთეს მხოლოდ და წარმოუდგენელია, რომ მომავალ წელს 3 მილიარდი აითვისონ. ამას ემატება დარჩენილი 500 მილიონი აუთვისებელი ხარჯი ამ სამინისტროსი და ვინმეს სჯერა, რომ 2,5 მილიარდი ლარის საქმეს გააკეთებენ მომავალ წელს?!

***– რატომ ვერ მოხდა ამ თანხების ათვისება?***

– იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ არიან თავმოუბმელები, ვერ ითვისებენ იმის გამო, რომ ვერ გეგმავენ სწორად, ხარჯები გაწერილი აქვთ არა მთავარი პრიორიტეტებისათვის, არამედ ძალიან ბევრი დაინტერესებული პირის სასარგებლოდ.

***– კერძოდ?***

– იგივე ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხარჯების ათვისებისთვის აგებინებს ტენდერებს მათთან დაახლოებულ პირებს, ასევე საკუთარ ფირმებს და ძალიან ნაკლებია კონკურენცია ტენდერებში. ჩაკეტილნი არიან თავიანთ ნაჭუჭში და ისეთ ფირმებთან აფორმებენ კონტრაქტებს, რომლებიდანაც შემდეგ ისევ ხდება „ატკატები“, საარჩევნო ყულაბაში ფულის გადარიცხვა და ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანებისა და კომპანიების გამდიდრება.

***– უცხოური კომპანიებიც ხომ იმარჯვებენ?***

## „ვალების ჩამოწერა ერთი დიდი ბლეფია“

– ხშირ შემთხვევაში იმარჯვებენ უცხოური კომპანიებიც, მაგრამ ძირითად საქმეს აკეთებენ ადგილობრივი ქვეკონტრაქტორები და შიგნით ხელისუფლების ბიზნესები ითვისებენ მილიარდობით ლარს.

ასევე კვლავაც რჩება ბიუროკრატიული ხარჯები, გაბერილი შტატები ყველა დონეზე, როგორც თვითმმართველობის, ასევე სამინისტროების უწყებების მხრივ. რეალურად ეს ბიუჯეტი არის ფულის ფლანგვის ბიუჯეტი. უზარმაზარი ნაწილი გაიცემა სხვადასხვა სახის გასაცემებზე და მინიმალური რჩება იმისთვის, რომ გაკეთდეს რეალური საქმე.

***– ხელისუფლება თავს იწონებს, კიდევ უფრო გაიზარდა 2019 წლის ბიუჯეტი. რამდენად სწორად არის ის გაწერილი და დაგეგმილი?***

– ბიუჯეტი იზრდება, მაგრამ იზრდება არა საგადასახადო შემოსავლების საფუძველზე, არამედ კვლავ იღებენ საშინაო ვალს, იღებენ საგარეო ვალს. ქვეყნის ვალებმა მიაღწია დაახლოებით 20 მილიარდ ლარს და ეს არის ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი, რაც ძალიან სახიფათოა.

ვალი რომც არ ავიღოთ არც ერთი დოლარი, ლარი რომ გაუფასურდეს, სახელმწიფო ვალი მაინც იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავლები, რომელთაც ქვეყანა ქმნის, კი არ მოხმარდება სოციალური პრობლემების გადაჭრასა და ეკონომიკის განვითარებას, არამედ – ვალების გასტუმრებას.

ასე რომ, ვალის გაზრდა ვალის აღების გარეშეც ხდება, თუკი ლარი არ არის სტაბილური და ლარი რა დღეშიც არის, ამას ვხედავთ.

მთლიანად მაკროეკონომიკური სურათი ძალიან მძიმეა და ამ სიმძიმის მთავარი პრობლემა არის ბიუჯეტი, რომელიც მეშვიდე წელია, ერთისა და იმავე ფორმისაა და ერთი და იმავე შეცდომებით ხასიათდება.

***– როგორი ეკონომიკური მდგომარეობით ვხვდებით 2019 წელს?***

– 2019 წელს ვხვდებით სიღარიბითა და გაუფასურებული ლარით, ასევე – პერსპექტივის არქონით. ყველაზე მძიმე არის ის, რომ აქედან გამოსავალი ამ ხელისუფლების პირობებში, ფაქტობრივად, არ ჩანს.

***– რატომ, რამდენ მოქალაქეს ჩამოეწერა ბანკის ვალი.***

– ეს ყველაფერი სინამდვილეში ერთი დიდი ბლეფია. სინამდვილეში ბანკმა „ქართუმ“ და ივანიშვილმა იყიდეს დავალიანების სიები ბანკებისგან. ვისაც კი ოდესმე რაიმე ვალი ჰქონია, ყველაფერი ჩაყრილია ამ სიაში, დიდი ხანია, ეს ვალები ჩამოწერილია და ეს ჩამოწერილი ვალებიც ამ სიაში აიყვანეს.

სინამდვილეში ადამიანს 10 ლარი ჰქონდა აღებული, 100 წლის მერე ეს გაუხდა 10 ათასი და მერე ამბობენ, 3 მილიარდი ჩამოვწერეთო.

ეს არის დიდი ტყუილი. ეს თანხა შეიძლება იყოს 250 მილიონის ფარგლებში და მის გამოსასყიდად ივანიშვილი გადაიხდის 10-15 მილიონ დოლარს. ეს თანხა მას ნამდვილად უღირდა წინასაარჩევნო მოსყიდვად. ეს 10-15 მილიონი რეკლამის ხარჯებია რეალურად.

# თბილისში ბინების დღიურად გამქირავებლები წყლის გადასახადს კომერციული ტარიფით გადაიხდიან

მოქალაქეები, რომლებიც თბილისში საცხოვრებელ ფართს დღიურად აქირავებენ, წყლის გადასახადს არასაყოფაცხოვრებო ანუ ე.წ. კომერციული ტარიფით გადაიხდიან. ენერგოომბუდსმენის გან-



ცხადებით, ამ ადამიანებზე აღნიშნული წესი სემეკის მიერ ახალი რეგულაციების ამოქმედებამდე გავრცელდება. სალომე ვარდიაშვილი მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ საკითხის განხილვა აუცილებლად სასამართლოში გაგრძელდება.

– სემეკის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით. სხდომაზე კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ დაიწყება მუშაობა ამ ტიპის მომხმარებლებისთვის განსხვავებული ტარიფის შემოღებაზე და შესაბამისი ცვლილება შევა ნორმატიულ აქტში, თუმცა ამ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის დასრულებამდე სემეკმა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მისცა უფლება, რომ იმ ადამიანებზე, რომლებიც ბინას დღიურად აქირავებენ, გავრცელდეს არასაყოფაცხოვრებო ტარიფი, – განაცხადა სალომე ვარდიაშვილმა.

მისი განმარტებით, მომხმარებლებსა და მარგულირებელ კომისიას შორის მხოლოდ ერთ ნაწილში მოხდა შეთანხმების მიღწევა, ესაა ჯარიმებისა და დარიცხული დავალიანების ჩამოწერა, რაც GWP-მ საკუთარი ნებით გააკეთა.

– ამ ფაქტს დადებითად ვაფასებთ, სხვა ნაწილში კი ჩვენ მოგვიწევს დავა სასამართლოში და აუცილებლად დავამტკიცებთ, რომ მოცემულ შემთხვევაში არასაყოფაცხოვრებო ტარიფის დაწესება არის უსაფუძვლო. ამასთან, უმჯობესი იქნებოდა, რომ ახალი რეგულაციების შემოღებამდე კომპანიას წყლის გადასახადის დარიცხვა გაეგრძელებინა საყოფაცხოვრებო ტარიფით, მითუმეტეს, რომ არცერთი მომხმარებელი მრიცხველის დამონტაჟების წინააღმდეგი არ იყო, – განაცხადა სალომე ვარდიაშვილმა.

სემეკმა რამდენიმე ზეპირი მოსმენით განიხილა იმ მოქალაქეების სარჩელი, რომლებიც წყლის მომწოდებელ კომპანიას გადასახადის საყოფაცხოვრებოს ნაცვლად, კომერციული ტარიფით დარიცხვაში ედავებოდნენ. ამასთან, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ დაჯარიმებულ ყველა პირს დავალიანება ჩამოეწერა. თავის მხრივ კი მარეგულირებელმა კომისიამ დაიწყო მუშაობა ახალ ნორმატიულ აქტზე, რომელიც საოჯახო ტიპის სასტუმროებს ე.წ. ჰიბრიდულ გადასახადს დაუწესებს.

– საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ეს პრობლემა ძალიან მწვავედ ეხება ჩვენს თანამოქალაქეებს. შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კანონმდებლობაში ფართომასშტაბიანი ცვლილებები მიიღოს. დასადგენია, როგორ უნდა იხდიდნენ წყლის გადასახადს საოჯახო ტიპის სასტუმროები, სადაც გამქირავებლები თავადაც ცხოვრობენ. ვფიქრობთ, მესამე ტიპის, ერთგვარი „ჰიბრიდული“ ტარიფი იქნება შემოღებული. ისეთი, რომელიც ორი მომხმარებლის გამიჯვნას შეძლებს და მოიცავს საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო ტარიფსაც, ანუ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ მათ ინდივიდუალურად გადაიხადონ ის ნაწილი, რაც თვითონ მოიხმარეს საყოფაცხოვრებო ტარიფით და თუ ყავთ სტუმრები, რომელთაგანაც იღებენ ფინანსურ სარგებელს, მათ მიერ მოხმარებული წყლის ტარიფს გადაიხდიან არასაყოფაცხოვრებო ტარიფით. ამის აღრიცხვას გააკეთებს თავად GWP და მომხმარებლის ვალდებულება იქნება, მრიცხველის დამონტაჟების მიზნით მიმართოს კომპანიას, – აღნიშნა სემეკის წევრმა გიორგი ფანგანმა.

მისივე განმარტებით, დღეისათვის გვაქვს მოცემულობა, რომ კომისიაში საკითხის გადასაწყვეტად დაწყებულია მსჯელობა.

– არის შემოთავაზებული ფართის მიხედვით დარიცხვაც, დაახლოებით თვენახევარში დარეგულირდება საკითხი და ყველა მომხმარებელი, რომელიც ბინას დღიურად აქირავებს, შეძლებს ისარგებლოს ახალი რეგულაციებით, – განმარტა სემეკის წევრმა.

შეგახსენებთ, რომ მოქალაქეებმა, რომლებიც თბილისში საცხოვრებელ ფართს დღიურად აქირავებენ, წყლის მომწოდებელ კომპანიასGWP-ს მარეგულირებელ კომისიაში ოქტომბრის ბოლოს უჩივლეს. მიზეზი წყლის გადასახადის საყოფაცხოვრებოს ნაცვლად კომერციული ტარიფით დარიცხვა და დაკისრებული ჯარიმები იყო. მოქალაქეებისა და ენერგოომბუდსმენის პრეტენზიებს არ იზიარებდნენ კომპანიაში და აცხადებდნენ, რომ ყველა იმ ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელიც კომერციულ საქმიანობას ახორციელებს, შესაბამისი გადასახადი უნდა გადაიხადოს.

დღეისათვის საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის წყალმომარაგების მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე 32 თეთრს, ხოლო არასაყოფაცხოვრებო – 4 ლარსა და 40 თეთრს შეადგენს. ამ ეტაპზე უცნობია, ახალი ნორმატიული აქტის ამოქმედების შემდეგ კონკრეტულად რა თანხას გადაიხდიან ის მოქალაქეები, რომლებიც საცხოვრებელ ფართს დღიურად აქირავებენ.

ბპნ

# 2018 წელს საქართველოს საფონდო ბირჟა 60-მდე კომპანიამ დატოვა



2018 წელს საქართველოს საფონდო ბირჟა 60-მდე კომპანიამ დატოვა.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ საქართველოს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელმა გიორგი ფარესიშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს საფონდო ბირჟიდან გასვლა რამდენიმე ემიტენტმა მოითხოვა და ამის მიზეზად ახალი რეგულაცია დაასახელა.

– ბირჟიდან გასვლის მიზეზი გახლდათ ის, რომ ძალაში შევიდა აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელების მოთხოვნა, რომლებიც ასეთ კომპანიებს ავალდებულებდათ, დაექირავებინათ შესაბამისი დონის აუდიტორული კომპანია. არის გარკვეული სია ასეთი კომპანიების, რომლებიც უფლებამოსილები არიან აუდიტის ჩატარებაზე. ასეთი კომპანიების მომსახურება ჯდება უფრო ძვირი, ვიდრე ჩვეულებრივი აუდიტორული კომპანიების. ამ კომპანიებმა, რომლებმაც ბირჟა დატოვეს, ვერ შეძლეს ამ თანხის გადახდა. მათთვის ეს იყო მძიმე ფინანსური ტვირთი და მიიღეს საფონდო ბირჟიდან გასვლის გადაწყვეტილება. 2018 წელს ბირჟა 60-მდე კომპანიამ დატოვა, – განაცხადა ფარესიშვილმა.

# „დაფინანსება არ უნდა მოხდეს ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი გადახდას ვერ ახერხებს“



საფინანსო ორგანიზაციებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა შემთხვევაში გასცემენ სესხს, ოღონდ – შესაბამისი პრინციპის დაცვით, – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც გვენეტაძემ აღნიშნა, არ უნდა მოხდეს დაფინანსება ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ ახერხებს გადახდას, ან აღებული სესხი მნიშვნელოვნად აუარესებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას.

– ორი რამ უნდა განვასხვავოთ, ვალების განულების შემდეგ ეს ადამიანები რამდენად მალე მიიღებენ ფინანსურ რესურსებს და რამდენად მალე შეძლებენ ისინი სამუშაო ძალაში გადასვლას. რამდენად მალე მიიღებენ ისინი ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ეს დამოკიდებული იქნება ფინანსურ ინსტიტუტებზე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ უკვე დავიწყეთ პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების განხორციელება. პირველი იანვრიდან შევა ძალაში დებულება, რომელიც კიდევ უფრო განმარტავს პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპებს და საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს მოეთხოვებათ, რომ დაიცვან ის პირობები, რომელიც მასში იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ უნდა მოხდეს დაფინანსება ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ ახერხებს გადახდას, ან კიდევ თუ აღებული სესხი მნიშვნელოვნად აუარესებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ასე რომ, გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, სიფრთხილე გამოჩენილი იქნება, მაგრამ ასევე მოგეხსენებათ, რომ ის პიროვნებები, რომლებიც ე.წ. შავ სიაში იყვნენ, ისინი ვერ ახერხებდნენ ოფიციალური სამსახურის დაწყებას, რადგანაც მათი შემოსავლის დიდი ნაწილი მიემართებოდა სესხების დასაფარად, რომელიც კიდევ უფრო იზრდებოდა ჯარიმებისა და საურავების გამო და ამ ხალხს უკვე ნამდვილად ექნება შესაძლებლობა, ოფიციალურად დაიწყონ მუშაობა. ვფიქრობ, რომ ესეც დამატებითი სტიმულია მათთვის, – განაცხადა გვენეტაძემ.

ბპნ.გე

# „ტრამპისადმი ერთგულებამ მაიძულა, მევლო სიბნელის გზით“

## დონალდ ტრამპის ყოფილ ადვოკატს სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისთვის დეკემბერი ცუდად დაიწყო. მის საწინააღმდეგოდ სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება, რომლებმაც შეიძლება მისი პოლიტიკური კარიერა იმპიჩმენტით დაასრულოს.**

### ტრამპის საყვარლების მოსყიდვა

5 დეკემბერს ტრამპის ყოფილ პირად ადვოკატ მაიკლ კოენს სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

კოენმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ „პრეზიდენტის ბინძური საქმეების დამალვას საკუთარ მოვალეობად მიიჩნევდა“.

მაიკლ კოენმა ემოციურად მოიხადა ბოდიში სასამართლოს წინაშე იმისთვის, რომ ტრამპის სქემაში ჩაერთო და მოისყიდა ორი ქალი — პორნოვარსკვლავი სტორმი დენიელსი და „პლეიბოის“ მოდელი კარენ მაკდუგალი. სტორმი დენიელსს 150 ათასი დოლარი გადაუხადეს, კარენ მაკდუგალს — 130 ათასი დოლარი.

ამერიკული პრესის მიხედვით, ტრამპმა ამ ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობა მაშინ გააბა, როცა უკვე მელანია ტრამპზე იყო დაქორწინებული, კოენმა კი მის საყვარლებს ფული იმისთვის გადაუხადა, რომ პრესასთან ამ საკითხზე არ ელაპარაკათ, რადგან ეს სკანდალი ტრამპს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსს დაუკარგავდა.

— ყველა დანაშაული შეიცავდა თაღლითობის ელემენტებს და მოტივირებული იყო პირადი ამბიციითა და სიხარბით, — განაცხადა მოსამართლე უილიამ პოლი მესამემ.

მაიკლ კოენი მართლაც მოიაზრებოდა მომავალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად, მაგრამ ამ სკანდალში მისი მონაწილეობის გამო სასურველი თანამდებობა ველარ მიიღო.

მოსამართლე პოლიმ ასევე დაამატა, რომ კოენმა საპრეზიდენტო კამპანიის ფინანსური კანონების დარღვევით, კონგრესის მოტყუებითა და გადასახადებისაგან თავის არიდებით ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს დიდი ზიანი მიაყენა.

### გარიგება — 30-მილიონიანი პენტჰაუსი პუტინს

კოენი ორ განსხვავებულ საქმეში ცნეს დამნაშავედ. ერთი საქმე (ქალების მოსყიდვა) მანჰეტენის ფედერალური პროკურორის წარდგენილი იყო, მეორე — სპეციალური გამომძიებლის, რობერტ მიულერის, რომელიც 2016 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევის საქმეს იძიებს.

მიულერის მიერ წარმოებული გამოძიების მიხედვით, ტრამპი მოსკოვში „ტრამპ თაუერის“ აშენების უფლების სანაცვლოდ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ჰპირდებოდა, რომ 30 მილიონის ღირებულების პენტჰაუსს გადასცემდა.

— მე საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმ ქმედებებში, რომლებმაც დღეს აქ მომიყვანა. ეს იყო ჩემი სისუსტე და ბრმა ერთგულება ამ კაცისადმი (ტრამპს გულისხმობს, რედ.შენ.), რამაც მაიძულა, სიბნელის გზა ამერჩია და არა სინათლის, — განაცხადა კოენმა სასამართლოზე და საზოგადოებასაც მოუბოდიშა, — თქვენ სიმართლის ცოდნას იმსახურებთ და თქვენი მოტყუება უსამართლობა იყო.





### „სერიული მატყუარა“

პრეზიდენტ ტრამპის ამჟამინდელმა ადვოკატმა, რუდი ჯულიანიმ, რომელიც 1994 წლიდან 2001 წლამდე ნიუ იორკის მერი იყო, კოენის სიტყვებს, რომ მან ყველაფერი ტრამპის ერთგულების გამო გააკეთა, სიცრუე უწოდა.

— ვწუხვარ იმის გამო, რაც მას დაემართა. ის პათეტიკური, სერიული მატყუარაა, — განაცხადა ჯულიანიმ.

ფედერალურმა აგენტებმა აპრილში კოენის სახლი და ოფისი გაჩხრიკეს. მან სწორედ ამის შემდეგ განაცხადა, რომ ტრამპის იდეა იყო დენიელსისა და მაკდუგალისთვის თანხის გადახდა.

ტრამპმა თავდაპირველად თქვა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რამდენიმე დღის წინ კი განაცხადა, რომ ეს პირადი ტრანზაქციები იყო და საარჩევნო კამპანიის თანხებთან კავშირი არ ჰქონდა. მან ასევე დაამატა, რომ მაშინაც კი, თუ გადახდა კამპანიის თანხებით მოხდებოდა, ეს სამოქალაქო კანონდარღვევა იქნებოდა და არა — კრიმინალური.

იმის შემდეგ, რაც კოენის გამოძიება დაიწყო, ტრამპმა მას დაცინვით სუსტი ადამიანი უწოდა, რომელიც პროკურორებს ინფორმაციებს აძლევდა, რომ საკუთარი სასჯელის ვადა შეემცირებინა. თუმცა კოენს მსგავსი შეთანხმებისთვის ხელი არ მოუწერია. საარჩევნო კამპანიის დროს ფინანსური დარღვევების გარდა, კოენმა ასევე აღიარა გადასახადების დამალვა, ბანკებისა და კონგრესის მოტყუება.

### პატიმრობა და ორმილიონიანი ჯარიმები

კოენის ადვოკატების თქმით, მათი დაცვის ქვეშ მყოფმა გამოძიებას ბევრი ინფორმაცია მიაწოდა, ამიტომ სასჯელს არ იმსახურებდა.

— მაიკლ კოენმა ხმა აღიმაღლა და ამ ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი ადამიანის წინააღმდეგ მტკიცებულებები წარმოადგინა, იმის მიუხედავად, რომ არ იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და გაგრძელდებოდა თუ არა სპეციალური გამომძიებლის, მიულერის მოკვლევა, — აღნიშნა კოენის ადვოკატმა გაი პეტროლომ.

მოსამართლემ კი განაცხადა, რომ კოენის მიწოდებული ინფორმაცია სასარგებლო იყო, თუმცა არა — ამომწურავი და მას 3 წელი მიუსაჯა ნიუ იორკის შტატში ჩადენილი დანაშაულებისთვის და 2 თვე — კონგრესის მოტყუებისთვის. მას დაახლოებით 2 მილიონი დოლარის ჯარიმების გადახდაც დაეკისრა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, კოენმა სასჯელის მოხდა 6 მარტს უნდა დაიწყოს.

სასჯელის გამოცხადებიდან 20 წუთის შემდეგ კოენმა ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარი გააკეთა, რომ მის მიერ ჩადენილი ყველა ქმედების გამო პასუხისმგებლობას გრძნობდა. ამის შემდეგ სასამართლოს შენობა ჯერ მისმა ცოლმა და შვილებმა დატოვეს, ბოლოს კი — მან და მისმა ადვოკატებმა.

**ამერიკული პრესის მიხედვით**
**მოამზადა ელენე გოგალაძემ**

## სამართალი

### ტყიბულის ტრაგედიასთან დაკავშირებით დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

ტყიბულში, მიმდინარე წლის 5 აპრილს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით დაკავებულებს სასამართლომ აღკვეთი ღონისძიება შეუცვალა.

პროცესი ქუთაისში 14 დეკემბერს გაიმართა.

ექვსივე დაკავებული 5 ათასი ლარის სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ფაქტთან დაკავშირებით კომპანია საქნახირის 6 თანამშრომელი იყო დაკავებული.

მათ გამოძიება უსაფრთხოების ნორმების დარღვევას ედავება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

შემთხვევის შედეგად მინდელის სახელობის შახტში 6 ადამიანი დაიღუპა, 4 კი მძიმედ დაშავდა.

### პროკურატურა ზაზა ბაქრაძისთვის 4,5-წლიან პირობით მსჯავრს და 5.000-ლარიან ჯარიმას ითხოვს

პროკურატურა კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის ზაზა ბაქრაძისთვის პირობით მსჯავრს 4 წლითა და 6 თვის ვადით, ასევე 5.000-ლარიან ჯარიმას ითხოვს.

ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვაში ბრალდებული კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის, ზაზა ბაქრაძისთვის საპროცესო შეთანხმების, ანუ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობა ბრალდების მხარემ 14 დეკემბერს დააყენა.

აღნიშნულ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს და შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოაცხადებს.



— ბრალდებულმა ზაზა ბაქრაძემ აღიარა ჩადენილი დანაშაული და მოინანია. გავითვალისწინეთ დაზარალებულთა პოზიციები, დაზარალებულები ერთხმად აცხადებენ თანხმობას, რომ ზაზა ბაქრაძის მიმართ გამოყენებულიყო კანონით გათვალისწინებული შეღავათი საპროცესო შეთანხმების სახით.

ამდენად, მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და დღეს დავაყენეთ შუამდგომლობა ზაზა ბაქრაძის მიმართ საპროცესო შეთანხმების თაობაზე, რომლის თანახმადაც, იგი ცნობილი იქნება დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით განესაზღვრება პირობითი მსჯავრი 4 წლითა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა 5.000 ლარის ოდენობით და 2 წლით ჩამოერთმევა თანამდებობის დაკავების უფლება, — განაცხადა პროკურორმა ოსაძემ.

აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილებას მოსამართლე 18 დეკემბერს, 14:00 საათზე გამოაცხადებს.

შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე ბრალდებულია 5 პირი: გურამ დონაძე, ზაზა ბაქრაძე, ზურა მიქაძე, ირაკლი ფირცხალავა და დავით იაშვილი.

ზაზა ბაქრაძე ერთადერთია აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულთაგან, რომელიც ჩადენილ დანაშაულს აღიარებს და აცხადებს, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე იარაღი მიტანილია და ამაში მასაც აქვს მონაწილეობა მიღებული.

ბაქრაძე მიმდინარე წლის 28 თებერვალს ჩვენების მისაცემად დაბრუნდა საქართველოში და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

30 მარტს ის 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

### თემურ აბაზოვი: „მე ვარ ბინძური პროვოკაციის მსხვერპლი“



დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით გასამართლებული მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ ის 13 დეკემბერს რუსთავის სასამართლომ გაათავისუფლა.

„ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანს აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, მოსამართლემ 10 ათას ლარიანი გირაოთი შეუცვალა.

— მე ვარ ბინძური პროვოკაციის მსხვერპლი. ვინაიდან ერთ-ერთმა მოწმემ როგორც განაცხადა, ეს იყო იმისთვის გაკეთებული, რომ მას ასეთი ბინძური გინებითა და ოჯახის შეურაცხყოფით უნდოდა „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადასვლა. რეალურად ეს ადამიანი იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. მე მსჯავრდებული არ ვყოფილვარ, მე ვიყავი ბრალდებული. მე საჩივარი უნდა შევიტანო ცილისწამებისთვის, ვინაიდან ჩემი ოჯახი იყო წარმოუდგენლად შეურაცხყოფილი, — განაცხადა აბაზოვმა.

### ბაღდათთან მიკროავტობუსი ამობრუნდა



ქუთაისი-ბაღდათის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 6 ადამიანი დაშავდა.

მიკროავტობუსი ბაღდათის სოფელ ვარციხეში არსებულ ხიდზე გადაბრუნდა.

დაზარალებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

# პოროშენკო სტოლტენბერგს შეხვდა

## რუსეთმა უკრაინის საზღვართან ისკანდერის ტიპის რაკეტები გადაისროლა

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ბრიუსელში ჩავიდა. აქ შედგა მისი შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აზოვის ზღვაზე შექმნილი მდგომარეობა იყო.



პრესკონფერენციაზე სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ აზოვის ზღვაზე ესკალაციის რეალური საფრთხე შეიქმნა. ეს კი არავის ინტერესებში არ შედის. ნატოს გენერალურმა მდივანმა რუსეთის აგრესიული ქმედებანი კვლავ დაგმო და უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა.

პოროშენკომ სტოლტენბერგს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

— აზოვის ზღვის მიდამოებში ნატოს წარმომადგენლობა გაიხსნა. ეს უკრაინის ინტერესებს მთლიანად შეესაბამება, — განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრამ კრემლის რისხვა გამოიწვია. ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც ნატო აზოვის რეგიონში აქტიურდება და ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მოსკოვმაც პასუხად კუნთების თამაში დაიწყო. უკრაინის თავდაცვის მინისტრის, გენერალ პოლტორაკის ცნობით, რუსეთმა უკრაინის საზღვარზე ისკანდერის ტიპის რაკეტები გადაისროლა.

— როგორც ჩანს, მოსკოვში კვლავ იმედოვნებენ, რომ უკრაინის დაპყრობას შეძლებენ, — ამბობს პოლტორაკი.

# აშშ-ის სენატი მუჰამად სალმანს ბრალს სდებს



აშშ-ის სენატმა ერთხმად მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ საუდის არაბეთის მემკვიდრე, პრინცი მუჰამად სალმანი, ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაზე პასუხისმგებელია.

სენატორები პრინცის დასჯას მოითხოვენ.

ამერიკის დაზვერვის ანალიტიკოსები, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ პრინცის სანქციის გარეშე ჰაშოგის ლიკვიდაციას ვერავინ გაბედავდა.

ამავე დროს, ტრამპის ადმინისტრაციაში ფიქრობენ, რომ მუჰამად სალმანის გასამტყუნებლად კონკრეტული სამხილია აუცილებელი. ასეთი კი არ არსებობს.

# 6 იანვარს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიას მიანიჭებენ

15 დეკემბერს კიევში გამაერთიანებელი საეკლესიო კრება გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (კიევის საპატრიარქოსი) და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია ცენტრით აშშ-ში.



მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულმა უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, არქიეპისკოპოსთა ნაწილი, სინოდის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, გამაერთიანებელ საეკლესიო კრებაში მონაწილეობას აპირებს.

კრება უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის თავკაცს აირჩევს და დაამტკიცებს მის წესდებას. ამის შემდეგ ახალი ეკლესიის წინამძღვარი გაემგზავრება სტამბოლში (კონსტანტინეპოლი), რათა მიიღოს ტომოსი (ავტოკეფალიის დამადასტურებელი მოწმობა).

— ერთიან უკრაინულ ეკლესიას მსოფლიო პატრიარქი ავტოკეფალიას ოფიციალურად 2019 წლის 6 იანვარს მიანიჭებს, — აცხადებს კიევის საპატრიარქოს წარმომადგენელი ზორია.

# მარია ბუტინამ ბრალი ნაწილობრივ აღიარა



როგორც ცნობილია, 30 წლის მარია ბუტინა აშშ-ის საპატიმროში იმყოფება. მას შპიონაჟს სდებენ ბრალად. ბუტინამ აღიარა, რომ დაარღვია აშშ-ის კანონი უცხოეთის აგენტების შესახებ. ქალი გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა.

ბუტინა კვლავ საპატიმროში იმყოფება. მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# სტრასბურში მკვლელობებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო

## ტერორისტი მოკლულია




სტრასბურის ტერაქტის მსხვერპლთა რაოდენობა 3-მდე გაიზარდა. თანახმად პარიზის პროკურატურის ცნობისა, დაჭრილი ტაილანდელი ტურისტი გარდაიცვალა.

თავად სტრასბურელი ტერორისტი პოლიციასთან შეტაკებისას მოკლეს.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, შევქათ შერიფმა თავის მშობლებს უთხრა, რომ სურს, სირიაში დაღუპული ძმების გამო შური იძიოს. როგორც ჩანს, სტრასბურის ტერაქტიც ამან განაპირობა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სტრასბურში მომხდარ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ამის შესახებ ინფორმაციას ისლამური სახელმწიფოს საინფორმაციო პორტალი ამაქი ავრცელებს.

ტერორისტული ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ „თავდამსხმელი „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარისკაცი იყო“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლონდონში რემბრანდტის ეტიუდი 12 მილიონად გაიყიდა

ლონდონში რემბრანდტ ვან რეინის მონახაზი „ახალგაზრდა ადამიანის თავის და დაწყობილი ხელების ეტიუდი, ან ქრისტე ლოცვის დროს“ „ძველის ოსტატების“ აუქციონზე ყველაზე ძვირადღირებული ლოტი გამოდგა. ამ ინფორმაციას ტვიტერში აუქციონის სახლი ავრცელებს. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, სურათი დაახლოებით 1655 წელს დაიწერა. ტექნიკური ექსპერტიზის და რესტავრაციის დროს ტილოზე აღმოჩენილი იქნა თითების ანაბეჭდები, რომელიც შესაძლოა სურათის შემქმნელს ეკუთვნოდეს. გავრცელებულ ინფორმაციაში დაზუსტებულია, რომ ლოტი 12,1 მილიონ დოლარად გაიყიდა.



# ჩინელმა ცოლი ჯერ დააზღვია და მერე წყალში დაახრჩო




ჩინელმა მამაკაცმა საკუთარი ცოლი ტაილანდში დასასვენებლად ყოფნის დროს აუზში დაახრჩო, რათა სადაზღვევო კომპანიისგან მილიონიანი კომპენსაცია მიეღო.

ქალაქ ტიანცზინის მკვიდრი ჩჟან იფანი საკუთარი გეგმის განხორციელებისთვის რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა. მან ცოლზე რამდენიმე სადაზღვევო პოლისი გააფორმა და მისი გაყალბებული ხელმოწერით მისი სახელით ხელშეკრულებები გააფორმა. შემდეგ ის მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად საკურორტო კუნძულ პხუკეტზე გაემგზავრა.

ადგილზე ჩასვლიდან რამდენიმე დღეში ჩჟანმა ცოლის ნათესავებს დაურეკა და აცნობა, რომ მისი მეუღლე აუზში დაიხრჩო. ქალის მამამ იეჭვა, რომ აქ საქმე ისე ვერ იყო, ვინაიდან იცოდა, რომ მისმა შვილმა ცურვა კარგად იცოდა. ქალის მშობლებმა სიძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს თაღლითობის ბრალდებით, დამნაშავის ჩინეთში ექსტრადიცია მოითხოვეს და იმედი აქვთ, რომ ის საკადრისად დაისჯება.

მეუღლის დაღუპვის შედეგად ჩჟანს დაზღვევის სახით 30 მილიონი იუანი უნდა მიეღო. დაკითხვაზე მან დანაშაული აღიარა. მან განაცხადა, რომ ცოლს ჯერ სცემა, შემდეგ კი მის თავს წყლის ქვეშ აკავებდა, რათა ზევით არ ამოსულიყო. მამაკაცის თქმით, მან იმიტომ გააკეთა, რომ მასთან ცხოვრება აღარ სურდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ეპიცენტრი ინგლისშია, საფრანგეთში გაფიცვებია

## სტატისტიკა, ფსონები

მომავალი უქმეები ისევ მატჩნაკლული იქნება. საფრანგეთში ისევ გაფიცვებია და რამდენიმე თამაში გადაიდო. თუმცა, უქმეების ეპიცენტრი ინგლისშია, სადაც ლივერპული მანჩესტერს დაუხვდება. ვინც ამ გუნდების ისტორია იცის, არ გაუკვირდება, რით არის ეგ შეხვედრა განსაკუთრებული...




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.12 | სიტი-ევერტონი | 1.2 | 7.0 | 13.0 |
| 15.12 | ვულვზი-ბორნმუთი | 1.91 | 3.5 | 4.2 |
| 15.12 | ჰადერსფილდი-ნიუკასლი | 2.55 | 3.0 | 3.1 |
| 15.12 | უოტფორდი-კარდიფი | 1.6 | 3.9 | 6.0 |
| 15.12 | ტოტენჰემი-ბარნლი | 1.17 | 8.0 | 13.0 |
| 15.12 | კრ.პალასი-ლესტერი | 2.62 | 3.1 | 2.87 |
| 15.12 | ფულემი-ვესტ ჰემი | 2.87 | 3.5 | 2.4 |
| 16.12 | ბრაიტონი-ჩელსი | 8.5 | 4.4 | 1.42 |
| 16.12 | საუთჰემპტონი-არსენალი | 3.8 | 3.8 | 1.91 |
| 16.12 | ლივერპული-მანჩესტერი | 1.55 | 4.2 | 6.0 |

**სიტი-ევერტონი**

სიტი: ***ტრავმ-***სერხიო აგუერო, ბენჯამინ მენდი

ევერტონი: ***ტრავმ-***არავინ

**ვულვზი-ბორნმუთი**

ვულვზი: ***ტრავმ-***ჯონ კასტრო ოტო

ბორნმუთი: ***ტრავმ-***სტივ კუკი, დან გოსლინგი, ადამ სმიტი

**ჰადერსფილდი-ნიუკასლი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ-***ფილიპ ბილინგიაბდელჰამიდ საბირი

ნიუკასლი: ***ტრავმ-***ფაბიან შარი

**უოტფორდი-კარდიფი**

უოტფორდი: ***ტრავმ-***ეტიენ კაპო

კარდიფი: ***ტრავმ-***დანიელ ვარდი

**ტოტენჰემი-ბარნლი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***ვიქტორ ვანიამა, კირონ ტრიპიერი, დავინსონ სანჩესი, მუსა დემბელე

ბარნლი: ***ტრავმ-***სტივენ ვარდი

**კრ.პალასი-ლესტერი**

კრ.პალასი: ***ტრავმ-***კრისტიან ბენტეკე

ლესტერი: ***ტრავმ-***ჯონი ევანსი, დანიელ ამარტეი

**ფულემი-ვესტ ჰემი**

ფულემი: ***ტრავმ-***არავინ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ-***მარკო არნაუტოვიჩი, რაიან ფრედერიკსი, ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი

**ბრაიტონი-ჩელსი**

ბრაიტონი: ***ტრავმ-***შონ დაფი, გლენ მურეი

ჩელსი: ***ტრავმ-***არავინ

**საუთჰემპტონი-არსენალი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***მაიკლ ობაფემი, შონ ლონგი

არსენალი: ***ტრავმ-***დანი უელბეკი, ნაჩო მონრეალი

**ლივერპული-მანჩესტერი**

ლივერპული: ***ტრავმ-***დეიან ლოვრენი, ჯო გომესი

მანჩესტერი: ***ტრავმ-***ვიქტორ ლინდელოფი, ალექსის სანჩესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 13 | 3 | 0 | 34:6 | 42 |
| 2.სიტი | 16 | 13 | 2 | 1 | 45:9 | 41 |
| 3.ტოტენჰემი | 16 | 12 | 0 | 4 | 30:16 | 36 |
| 4.ჩელსი | 16 | 10 | 4 | 2 | 33:13 | 34 |
| 5.არსენალი | 16 | 10 | 4 | 2 | 35:20 | 34 |
| 6.მანჩესტერი | 16 | 7 | 5 | 4 | 28:26 | 26 |
| 7.ევერტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 23:19 | 24 |
| 8.ბორნმუთი | 16 | 7 | 2 | 7 | 25:26 | 23 |
| 9.ლესტერი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:20 | 22 |
| 10.ვულვზი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:19 | 22 |
| 11.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 3 | 7 | 23:25 | 21 |
| 12.ბრაიტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 19:22 | 21 |
| 13.უოტფორდი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:23 | 21 |
| 14.კარდიფი | 16 | 4 | 2 | 10 | 15:30 | 14 |
| 15.ნიუკასლი | 16 | 3 | 4 | 9 | 13:22 | 13 |
| 16.კრ.პალასი | 16 | 3 | 3 | 10 | 13:23 | 12 |
| 17.ბარნლი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:32 | 12 |
| 18.ჰადერსფილდი | 16 | 2 | 4 | 10 | 10:27 | 10 |
| 19.საუთჰემპტონი | 16 | 1 | 6 | 9 | 13:30 | 9 |
| 20.ფულემი | 16 | 2 | 3 | 11 | 16:40 | 9 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.12 | ხეტაფე-სოსიედადი | 2.3 | 3.1 | 3.4 |
| 15.12 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 6.0 | 3.4 | 1.7 |
| 15.12 | რეალი-რაიო | 1.12 | 9.0 | 19.0 |
| 15.12 | ეიბარი-ვალენსია | 2.7 | 3.2 | 2.7 |
| 16.12 | სევილია-ხირონა | 1.44 | 4.5 | 7.5 |
| 16.12 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.35 | 3.3 | 3.1 |
| 16.12 | უესკა-ვილიარეალი | 3.3 | 3.5 | 2.15 |
| 16.12 | ლევანტე-ბარსელონა | 11. | 6.5 | 1.24 |
| 17.12 | ალავესი-ბილბაო | 2.87 | 3.1 | 2.6 |

**ხეტაფე-სოსიედადი**

ხეტაფე: ***ტრავმ-***ივან ალეხო, მარკელ ბერგარა

სოსიედადი: ***ტრავმ-***დიეგო ლორიენტე, რაულ ნავასი, ლუკა სანგალი

**ვალიადოლიდი-ატლეტიკო**

ვალიადოლიდი: ***ტრავმ-***ხავი მოიანო

ატლეტიკო: ***ტრავმ-*** კოკე, ფელიპე ლუისი, ხუანფრანი

**რეალი-რაიო**

რეალი: ***ტრავმ-***ნაჩო

რაიო: ***ტრავმ-***გორკა ელუსტონდო

**ეიბარი-ვალენსია**

ეიბარი: ***ტრავმ-***ჯოან ჯორდანი

ვალენსია: ***ტრავმ-***კევინ გამეირო, ჯეისონ მურილიო

**სევილია-ხირონა**

სევილია: ***ტრავმ-***ალექსის ვიდალი, მაქსიმ გონალონსი

ხირონა: ***ტრავმ-***მარკ მუნიესა, პატრიკ რობერტსი, კარლეს პლანასი, ადაი ბენიტესი

**ესპანიოლი-ბეტისი**

ესპანიოლი: ***ტრავმ-***არავინ

ბეტისი: ***ტრავმ-***ანდრეს გუარდადო

**უესკა-ვილიარეალი**

უესკა: ***ტრავმ-***კარლოს აკაპო, ალექს გარალი, რუბენ სემედო, ლუიზინიო

ვილიარეალი: ***ტრავმ-***მიგელ ლამბრიჩი, მანუელ უტირა

**ლევანტე-ბარსელონა**

ლევანტე: ***ტრავმ-***არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ-***მალკომი, სერხი რობერტო, რაფინია, სამუელ უმტიტი

**ალავესი-ბილბაო**

ალავესი: ***ტრავმ-***არავინ

ბილბაო: ***ტრავმ-***ინიგო მარტინესი, პერუ ნოლასკოანი, მიკელ ბალენზიაგა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 9 | 4 | 2 | 41:19 | 31 |
| 2.სევილია | 15 | 8 | 4 | 3 | 27:16 | 28 |
| 3.ატლეტიკო | 15 | 7 | 7 | 1 | 21:10 | 28 |
| 4.რეალი | 15 | 8 | 2 | 5 | 23:19 | 26 |
| 5.ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 18:17 | 24 |
| 6.ლევანტე | 15 | 6 | 4 | 5 | 27:25 | 22 |
| 7.ბეტისი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:17 | 22 |
| 8.ხეტაფე | 15 | 5 | 6 | 4 | 16:12 | 21 |
| 9.ხირონა | 15 | 5 | 6 | 4 | 17:17 | 21 |
| 10.ესპანიოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 17:20 | 21 |
| 11.სელტა | 15 | 5 | 5 | 5 | 28:24 | 20 |
| 12.ვალიადოლიდი | 15 | 5 | 5 | 5 | 13:15 | 20 |
| 13.სოსიედადი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:18 | 19 |
| 14.ეიბარი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:23 | 19 |
| 15.ვალენსია | 15 | 3 | 9 | 3 | 12:12 | 18 |
| 16.ლეგანესი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:19 | 17 |
| 17.ვილიარეალი | 15 | 3 | 5 | 7 | 15:19 | 14 |
| 18.ბილბაო | 15 | 2 | 8 | 5 | 15:23 | 14 |
| 19.რაიო | 15 | 2 | 4 | 9 | 15:30 | 10 |
| 20.უესკა | 15 | 1 | 4 | 10 | 12:30 | 7 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.12 | ფორტუნა-ფრაიბურგი | 2.75 | 3.3 | 2.55 |
| 15.12 | აუგსბურგი-შალკე | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 15.12 | ჰანოვერი-ბაიერნი | 11.0 | 6.5 | 1.22 |
| 15.12 | ჰოფენჰაიმი-გლადბახი | 1.95 | 4.0 | 3.3 |
| 15.12 | შტუტგარტი-ჰერტა | 2.7 | 3.4 | 2.55 |
| 15.12 | დორტმუნდი-ვერდერი | 1.4 | 4.8 | 7.5 |
| 16.12 | ლაიპციგი-მაინცი | 1.4 | 5.0 | 7.0 |
| 16.12 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.37 | 3.5 | 2.8 |

**ფორტუნა-ფრაიბურგი**

ფორტუნა: ***ტრავმ-***ანდრე ჰოფმანი, მარსელ სობოტკა

ფრაიბურგი: ***ტრავმ-***ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ სალაი

**აუგსბურგი-შალკე**

აუგსბურგი: ***ტრავმ-***არავინ

შალკე: ***ტრავმ-***ფრანკო დი სანტო, ბრეელ ემბოლო, მარკ უტი

**ჰანოვერი-ბაიერნი**

ჰანოვერი: ***ტრავმ-***ილას ბებოუ, ფელიპე

ბაიერნი: ***ტრავმ-***არიენ რობენი, ხამეს როდრიგესი, კორენტინ ტოლისო

**ჰოფენჰაიმი-გლადბახი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ-***ჰავარდ ნორდვეიტი

გლადბახი: ***ტრავმ-***იონას ჰოფმანი, მატიას გინტერი

**შტუტგარტი-ჰერტა**

შტუტგარტი: ***ტრავმ-***სანტიაგო აკსასიბარი, ჰოლგერ ბადშტურბერი, ბერკლაი ოზკანი, ბორნა სოსა

ჰერტა: ***ტრავმ-***დერიკ ლუკასენი, ნიკლას შტარკი, კარიმ რეკიკი, ჯავარიო დილროსუნი

**დორტმუნდი-ვერდერი**

დორტმუნდი: ***ტრავმ-***სებასტიან როდე

ვერდერი: ***ტრავმ-***მილოშ ველიკოვიჩი, ნიკლას მოისანდერი, ფილიპ ბაგფრეიდი

**ლაიპციგი-მაინცი**

ლაიპციგი: ***ტრავმ-***ემილ ფორსბერგი

მაინცი: ***ტრავმ-***ფლორიან მიულერი, ბოტე ბაკუ

**აინტრახტი-ლევერკუზენი**

აინტრახტი: ***ტრავმ-***დავიდ აბრაჰამი, ალანი, ლუკას ტორო

ლევერკუზენი: ***ტრავმ-***სვენ ბენდერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 14 | 11 | 3 | 0 | 39:14 | 36 |
| 2.გლადბახი | 14 | 9 | 2 | 3 | 33:16 | 29 |
| 3.ბაიერნი | 14 | 8 | 3 | 3 | 28:18 | 27 |
| 4.ლაიპციგი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:13 | 25 |
| 5.აინტრახტი | 14 | 7 | 2 | 5 | 30:17 | 23 |
| 6.ჰერტა | 14 | 6 | 5 | 3 | 22:20 | 23 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 4 | 4 | 30:21 | 22 |
| 8.ვერდერი | 14 | 6 | 3 | 5 | 24:23 | 21 |
| 9.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 20:20 | 19 |
| 10.მაინცი | 14 | 5 | 4 | 5 | 13:15 | 19 |
| 11.ლევერკუზენი | 14 | 5 | 3 | 6 | 20:25 | 18 |
| 12.ფრაიბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:22 | 17 |
| 13.შალკე | 14 | 4 | 2 | 8 | 15:20 | 14 |
| 14.აუგსბურგი | 14 | 3 | 4 | 7 | 20:23 | 13 |
| 15.შტუტგარტი | 14 | 3 | 2 | 9 | 9:29 | 11 |
| 16.ნიურნბერგი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:33 | 11 |
| 17.ჰანოვერი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:29 | 10 |
| 18.ფორტუნა | 14 | 2 | 3 | 9 | 14:32 | 9 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.12 | ინტერი-უდინეზე | 1.33 | 5.0 | 10.0 |
| 15.12 | ტორინო-იუვენტუსი | 7.0 | 3.7 | 1 |
| 16.12 | სპალი-კიევო | 2.05 | 3.2 | 4.0 |
| 16.12 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.8 | 3.7 | 4.5 |
| 16.12 | სამპდორია-პარმა | 1.78 | 3.6 | 4.75 |
| 16.12 | ფროზინონე-სასუოლო | 3.9 | 4.5 | 1.4 |
| 16.12 | კალიარი-ნაპოლი | 9.0 | 4.5 | 1.4 |
| 16.12 | რომა-ჯენოა | 1.42 | 4.75 | 7.5 |
| 17.12 | ატალანტა-ლაციო | 2.2 | 3.5 | 3.2 |
| 18.12 | ბოლონია-მილანი | 4.6 | 3.3 | 1.88 |

**ინტერი-უდინეზე**

ინტერი: ***ტრავმ-***რაჯა ნაინგოლანი

უდინეზე: ***ტრავმ-***ვალონ ბეჰრამი, სამირი, მოლა ვოგი, ლუკაშ ტეოდორჩუკი

**ტორინო-იუვენტუსი**

ტორინო: ***ტრავმ-***არავინ

იუვენტუსი: ***ტრავმ-***ანდრეა ბარძალი, ალექს სანდრო, სამი ხედირა

**სპალი-კიევო**

სპალი: ***ტრავმ-***ტიაგო გიონეკი, ლორენცო სიმიჩი

კიევო: ***ტრავმ-***ნიკოლა რიგონი, ლუკა როსეტინი, ნენად ტომოვიჩი

**ფიორენტინა-ემპოლი**

ფიორენტინა: ***ტრავმ-***ვიტორ უგო, რიკარდო სოტილი

ემპოლი: ***ტრავმ-***არავინ

**სამპდორია-პარმა**

სამპდორია: ***ტრავმ-***ედგარ ბარეტო

პარმა: ***ტრავმ-***ჟერვინიო, ლუკა სილიგარდი, ალბერტო გრასი, ფედერიკო დიმარკო

**ფროზინონე-სასუოლო**

ფროზინონე: ***ტრავმ-***მირკო გორი, ლუკა კრაინჩი, ემილ ჰალფრედსონი

სასუოლო: ***ტრავმ-***კევინ-პრინს ბოატენგი, კლოდ აჯაპონგი, ჯერემი ბოგა

**კალიარი-ნაპოლი**

კალიარი: ***ტრავმ-***ნიკოლო ბარელა, ლუკას კასტრო, ხარლამპოს ლიკოგიანისი

ნაპოლი: ***ტრავმ-***რაულ ალბიოლი, სიმონე ვერდი, ვლად კირიკეში

**რომა-ჯენოა**

რომა: ***ტრავმ-***ლორენცო პელეგრინი, ანტე ჩორიჩი, შტეფან ელ შაარავი, ედინ ჯეკო, დანიელე დე როსი

ჯენოა: ***ტრავმ-***დანიელ ბესა, რომულო, ნიკოლას სპოლი

**ატალანტა-ლაციო**

ატალანტა: ***ტრავმ-***იოსიპ ილიჩიჩი

ლაციო: ***ტრავმ-***ლუკას ლეივა, ადამ მარუსიჩი

**ბოლონია-მილანი**

ბოლონია: ***ტრავმ-***არტურო კალაბრესი

მილანი: ***ტრავმ-***ალესიო რომანიოლი, მატეო მუსაჩიო, ჯაკომო ბონავენტურა, ლუკას ბილია

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 14 | 1 | 0 | 32:8 | 43 |
| 2.ნაპოლი | 15 | 11 | 2 | 2 | 32:14 | 35 |
| 3.ინტერი | 15 | 9 | 2 | 4 | 27:13 | 29 |
| 4.მილანი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:18 | 26 |
| 5.ლაციო | 15 | 7 | 4 | 4 | 22:18 | 25 |
| 6.ტორინო | 15 | 5 | 7 | 3 | 19:16 | 22 |
| 7.ატალანტა | 15 | 6 | 3 | 6 | 29:20 | 21 |
| 8.რომა | 15 | 5 | 6 | 4 | 26:20 | 21 |
| 9.სასუოლო | 15 | 5 | 6 | 4 | 24:22 | 21 |
| 10.პარმა | 15 | 6 | 3 | 6 | 16:19 | 21 |
| 11.სამპდორია | 15 | 5 | 5 | 5 | 23:19 | 20 |
| 12.ფიორენტინა | 15 | 4 | 7 | 4 | 21:16 | 19 |
| 13.კალიარი | 15 | 3 | 8 | 4 | 15:19 | 17 |
| 14.ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:26 | 16 |
| 15.ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 20:30 | 16 |
| 16.სპალი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:24 | 15 |
| 17.უდინეზე | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 13 |
| 18.ბოლონია | 15 | 2 | 5 | 8 | 13:24 | 11 |
| 19.ფროზინონე | 15 | 1 | 5 | 9 | 11:33 | 8 |
| 20.კიევო | 15 | 0 | 6 | 9 | 12:32 | 3 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.12 | დიჟონი-პსჟ | 19.0 | 7.0 | 1.15 |
| 15.12 | რეიმსი-სტრასბური | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 15.12 | ამიენი-ანჟე | 2.8 | 3.0 | 2.7 |
| 16.12 | ნიმი-ლილი | 2.4 | 3.25 | 3.0 |
| 16.12 | ლიონი-მონაკო | 1.42 | 4.8 | 7.0 |
| 17.12 | კაენი-ტულუზა | 2.5 | 3.1 | 3.0 |

**დიჟონი-პსჟ**

დიჟონი: ***ტრავმ-***ენცო ლოიდისე, ჯულეს კეიტა, იოან გურკუფი

პსჟ: ***ტრავმ-***ლასანა დიარა

**რეიმსი-სტრასბური**

რეიმსი: ***ტრავმ-***შეი ოჯო, მარვინ მარტინი, ტრისტან დინომე

სტრასბური: ***ტრავმ-***ჯერემი გრიმი, შტეფან მიტროვიჩი, იდრის საადი

**ამიენი-ანჟე**

ამიენი: ***ტრავმ-***რაფალ კურზავა, მუსა კონატე, კვენტინ კორენტე, ბონგანი ზუნგუ

ანჟე: ***ტრავმ-***ფარიდ ელ მელალი, ვინსენტ პაიო

**ნიმი-ლილი**

ნიმი: ***ტრავმ-***მუსტაფა დიალო

ლილი: ***ტრავმ-***ადამა სუმარო

**ლიონი-მონაკო**

ლიონი: ***ტრავმ-***მაქსველ კორნე, რაფაელი, ლეო დუბო

მონაკო: ***ტრავმ-***ალეკსანდრ გოლოვინი, ანტონიო ბარეკა, ჯორდი მბულა, ალმანი ტურე, სტევან იოვეტიჩი, ჯიბრილ სიბიდე, ადამა ტრაორე, კევინ ნდორამი, პიეტრო პელეგრი, რონი ლოპესი

**კაენი-ტულუზა**

კაენი: ***ტრავმ-***კაზიმირ ნინგა, რომან ჟენევო

ტულუზა: ***ტრავმ-***სტივენ ფორტესი, ჟან-კლირ ტობიდო, იბრაჰიმ სანგარე, იაია სანოგო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 14 | 2 | 0 | 49:10 | 44 |
| 2.ლილი | 17 | 9 | 4 | 4 | 25:15 | 31 |
| 3.მონპელიე | 16 | 8 | 5 | 3 | 24:12 | 29 |
| 4.ლიონი | 16 | 8 | 4 | 4 | 26:20 | 28 |
| 5.მარსელი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:25 | 26 |
| 6.სტ.ეტიენი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:21 | 26 |
| 7.ნიცა | 16 | 7 | 4 | 5 | 12:14 | 25 |
| 8.სტრასბური | 17 | 5 | 8 | 4 | 27:21 | 23 |
| 9.ნიმი | 16 | 6 | 5 | 5 | 24:21 | 23 |
| 10.რენი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:25 | 23 |
| 11.რეიმსი | 17 | 5 | 7 | 5 | 11:15 | 22 |
| 12.ბორდო | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| 13.ნანტი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:24 | 20 |
| 14.ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| 15.ტულუზა | 16 | 4 | 6 | 6 | 14:24 | 18 |
| 16.დიჟონი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | 16 |
| 17.ამიენი | 17 | 5 | 1 | 11 | 16:30 | 16 |
| 18.კაენი | 17 | 2 | 8 | 7 | 15:22 | 14 |
| 19.მონაკო | 16 | 3 | 4 | 9 | 16:24 | 13 |
| 20.გენგამი | 17 | 1 | 5 | 11 | 12:34 | 8 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ჯიმი ტაბიძე: „საქართველოს ნაკრები ქომაგებს მომავალშიც გაახარებს“

საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი ჯიმი ტაბიძე ეროვნული გუნდის ერთა ლიგის წარმატებაზე, ამჟამინდელ და ყოფილ კლუბებზე საუბრობს.

***— ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებთ?***

— დადებითად. ზუსტად ვიცი, რომ საქართველოს ნაკრები მიღწეულზე არ გაჩერდება და ქართველ ქომაგს მომავალშიც გაახარებს.

***— როგორ ფიქრობთ, რა არის საქართველოს ნაკრების პროგრესის მთავარი ფაქტორი?***

— გუნდურობა, ერთი მიზნისკენ სვლა, ერთიანობა. ამ ყველაფრის გარეშე თანამედროვე ფეხბურთში წარმატება გამორიცხულია. საქართველოს




ეროვნულ ნაკრებში თამაშით ამაყი ვარ.

***— რუსეთის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში მოსკოვის სპარტაკთან 2 საგოლე პასი შეასრულეთ. მცველისთვის როგორი შეგრძნებაა, როცა გამარჯვებაში დიდ როლს ასრულებთ? საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თქვენთვის უჩვეულო, მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშეთ.***

— ძალიან გახარებული ვიყავი. ჩემი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შევიტანე. მარცხენა მცველის პოზიციაზე ვითამაშე, მაგრამ, გუნდს სადაც დასჭირდება იქ უნდა ითამაშო. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და გუნდმა შეძლო 3 ქულის მოპოვება.

***— გასულ სეზონში უფა პრემიერლიგაში მე-6 ადგილზე გავიდა და ევროპა ლიგის საგზური მოიპოვა, თუმ-***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ცოლმა ქმარი საყვარლის დახმარებით მოკლა და ალიგატორებს დააბრალა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტალაჰასის მცხოვრებს მეუღლის მოკვლის მიზნით საყვარელთან გარიგების ბრალდება წაუყენეს, რომელიც 1,75 მილიონ დოლარად იყო დაზღვეული.

2000 წლის დეკემბერში მაიკ უილიამსი იხვებზე სანადიროდ წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. მსხვილმასშტაბიანი სამძებრო ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა: ვერ ნახეს ვერც დაკარგული მონადირე და ვერც მის ნარჩენებს მიაგნეს. პოლიციამ დაასკვნა, რომ მამაკაცი ნავიდან გადავარდა, დაიხრჩო და შემდეგ ის ალიგატორებმა შეჭამეს.

მამაკაცის მეუღლის დენიზ უილიამსის თხოვნით, ის უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულად ცნეს. ამის შემდეგ მას გადაუხადეს დაზღვევის თანხა 1,75 მილიონი დოლარი, რომლითაც მისი მეუღლის სიცოცხლე იყო დაზღვეული. 2005 წელს ქალი ცოლად გაჰყვა გარდაცვლილი მეუღლის საუკეთესო მეგობარს, დაზღვევის აგენტ ბრაიან ვინჩესტერს. შვიდი წლის შემდეგ კი ერთმანეთს დაშორდნენ.

2016 წელს ვინჩესტერი თავს დაესხა უილიამს და პისტოლეტის მუქარით ერთი საათის განმავლობაში ჰყავდა დაკავებული. ერთი წლის შემდეგ მან ადამიანის გატაცებაში თავი დამნაშავედ ცნო, რისთვისაც 20 წლით პატიმრობა მიესაჯა. მეორე დღეს აღმოჩენილი იქნა 17 წლის წინ დაკარგული მაიკ უილიამსის ნარჩენები. დნმ-ს ანალიზმა დაადასტურა, რომ სწორედ ის იყო.

ვინჩესტერი ამტკიცებს, რომ ის და დენიზი 1997 წლიდან საყვარლები იყვნენ და მათ ერთად გადაწყვიტეს მისი მეუღლის თავიდან მოშორება. მან, როგორც დაზღვევის აგენტმა, იცოდა, რომ მისი სიცოცხლე საკმაოდ მსხვილ თანხად იყო დაზღვეული.

სასამართლოზე ვინჩესტერმა განაცხადა, რომ მეგობარი ნავიდან გადააგდო. მას იმედი ჰქონდა, რომ მონადირის მძიმე ჩექმები მაიკს ჩაძირავდნენ, მაგრამ მონადირე ხის კუნძს ჩაეჭიდა და მშველელს დაუწყო მოხმობა. მაშინ დაზღვევის აგენტმა ის თოფით მოკლა, მანქანაში ჩატვირთა, მიყრუებულ ადგილზე მიიტანა და მიწაში ჩაფლა.

მიმდინარე წლის მარტში დენიზ უილიამსი დააპატიმრეს და პირველი ხარისხის მკვლელობის, მოკვლის მიზნით შეთანხმებისა და მკვლელობის შემდეგ თანამონაწილეობის ბრალდება წაუყენეს. ქალი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

# იტალიელებს რომის ცენტრში აღმართული საშობაო ნაძვის ხე არ მოეწონათ



იტალიის დედაქალაქ რომის მცხოვრებლებმა ქალაქის ცენტრში, პიაცა ვენეციაზე აღმართული მთავარი საახალწლო ნაძვის ხე გააკრიტიკეს.

მოქალაქეებს აზრით, დადგმული ნაძვის ხე გაცვეთილივით გამოიყურება. მისი ტოტები დამტვრეულია, ზოგან კი საერთოდ მომტვრეულია. იტალიელების თქმით, საშობაო ნაძვის ხე კიდევ უფრო საშინლად გამოიყურება, ვიდრე გასული წლის 50 ათას ევროდ ღირებული ცნობილი მახინჯი ნაძვის ხე.

მაშინ ქალაქის მცხოვრებლები მას „ტუალეტის სახეხ ჯაგრისს" ადარებდნენ. თუ რა დაარქვეს ახალ ნაძვის ხეს, ჯერჯერობით უცნობია. ამავე დროს კომპანიაში, რომელიც პასუხისმგებელია ნაძვის ხის დადგმაზე, განაცხადეს, რომ ზოგიერთი ტოტი ტრანსპორტირების დროს სპეციალურად შეკრეს და დღესასწაულისთვის მათ სრულად მოაწესრიგებენ. ამასთან ხეს, რომლის სიმაღლე 20 მეტრს აღემატება, 60 ათასზე მეტი ეკონომიური ნათურით დაამშვენებენ.

# ძაღლმა პატრონები უზარმაზარი პითონისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა



მალაიზიაში ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად თავისი პატრონები ექვსმეტრიანი პითონის თავდასხმისგან გადაარჩინა. ინციდენტი სარავაკის შტატში 11 დეკემბერს მოხდა. მალაიზიელების ოჯახი ვერაფრით პოულობდა თავის ძაღლს, ის არც სახლში იყო და არც ძახილზე პასუხობდა. პატრონები მის მოსაძებნად გაემართნენ და შორიახლოს უზარმაზარ პითონს გადააწყდნენ, რომელიც მათ ძაღლზე იყო შემოხვეული. მათი ადგილზე მისვლის მომენტისთვის ძაღლი უკვე მკვდარი იყო. მათ გველს რამდენჯერმე დაარტყეს, რის შემდეგაც ქვეწარმავალმა ნადავლი მიატოვა და იქვე ახლოს მდებარე სოროში დაიმალა.

ამის შემდეგ ოჯახმა მაშველები გამოიძახა. ერთი საათის მუშაობის შემდეგ მაშველებმა პითონი დაიჭირეს. მათ გველი აგრესიულ ცხოველად დაახასიათეს.

— ჩვენ ძალიან დამწუხრებულები ვართ ჩვენი ძაღლის დაღუპვის გამო, მას ჩვენ გადარჩენას ვუმადლით. ის რომ არა, გველი შესაძლოა ჩვენ სახლში შემომძვრალიყო, — განაცხადა ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

# ქალმა ბავშვი დიდი სატვირთო მანქანის დაჯახებისგან გადაარჩინა

ვიეტნამის ქალაქ ჰალონგში, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, დიდი სატვირთო მანქანა სამ ავტომობილს დაეჯახა და კინაღამ ადამიანებსაც გადაუარა.

გამწევმა მისაბმელიანმა მანქანამ გზის გამყოფი ბეტონის წინაღობა გაანგრია და შემხვედრ ზოლზე იმ დროს გადავიდა, როდესაც ქალი ხელში აყვანილი პატარა ბავშვით მსუბუქი ავტომობილიდან გადმოდიოდა. მან გზიდან გადახტომა ბოლო მომენტში მოასწრო. ინციდენტი ერთ-ერთი თვითმხილველის მანქანაში დაყენებულმა ვიდეორეგისტრატორმა გადაიღო.

სატვირთო მანქანა ორ ავტომობილს დაეჯახა, მათ შორის იმ მანქანასაც, რომლიდანაც ქალი და ბავშვი გადმოვიდნენ და შემდეგ გზის პირას მდგომ მანქანას დაეჯახა. საბედნიეროდ ამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# ჯიმი ტაბიძე: „საქართველოს ნაკრები ქომაგებს მომავალშიც გაახარებს"

დასაწყისი მე-9 გვერდზე

***ცა მიმდინარე სეზონში კლუბი გასავარდნ ზონაშია. 2 ფრონტზე ბრძოლა გაგიჭირდათ?***

— პრემიერლიგაში თამაშის პარალელურად ევროპა ლიგაზე ასპარეზობა ადვილი არაა. თავდაპირველად, აქცენტი ევროპა ლიგაზე გავაკეთეთ და შიდა ჩემპიონატში წარმატებული გამოსვლისთვის ძალები არ გვეყო. ამ შემთხვევაში გრძელი სათადარიგოთა სკამია საჭირო. ორ ფრონტზე ბრძოლისთვის მზად არ აღმოვჩნდით. სეზონის მეორე ნახევრისთვის ჯერ კვიპროსზე, შემდეგ კი ესპანეთში მოვემზადებით. დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში რთულ ვითარებას თავს დავაღწევთ და პრემიერლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ.

***— უეფაში წასვლამდე საბურთალოში თამაშობდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში აღზევებიდან 3 წელიწადში საქართველოს ჩემპიონი გახდა.***

— 2015 წელს საბურთალო პირველი ლიგის ჩემპიონი გახდა, რის შემდეგაც კარიერა ბელგიურ გენტში გავაგრძელე. ზუსტად ვიცოდი, რომ საბურთალო უმაღლეს ლიგაში გადასვლით და მხოლოდ თამაშით არ დაკმაყოფილდებოდა, რადგან ეს არის გუნდი, სადაც ყოველთვის განვითარებაზე ფიქრობენ და ასეთ შემთხვევაში წარმატება გარდაუვალია. მჯეროდა, საბურთალო ადრე თუ გვიან ჩემპიონობას მოიპოვებდა.

ორმაგად სასიხარულო არის ის, რომ კლუბმა ტიტული გიორგი ჭიაბრიშვილთან, გაგი მარგველაშვილთან, ლაზარე კუპატაძესთან, გურამ გოშთელიანთან, გოგა ჩაბრაძესთან, სანდრო ალთუნაშვილთან, ბექა ქურდაძესთან, გიორგი კოხრეიძესთან, ლუკა ლაკვეხელიანთან, ბექა გვარაძესთან, ცოტნე ნადარაიასთან ერთად მოიპოვა.

ეს ფეხბურთელები საბურთალოს სკოლის აღზრდილები არიან. ძალიან დიდი შრომის შედეგად გუნდი დამსახურებულად გაჩემპიონდა. თითოეულმა მათგანმა ჩემპიონობა დაიმსახურა, რადგან მათ მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარეს. თითქმის ყველა თამაში ვნახე. მატჩების დიდი ნაწილი საბურთალომ უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა. წლეულს საქართველოს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს!

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ასტროპროგნოზი

## 15 დეკემბრისათვის



**ვერძი** — დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** — გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** — სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** — ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** — დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** — ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** — ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** — მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** — ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით — კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** — ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** — შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

## 16 დეკემბრისათვის

**ვერძი** — ფრთხილად იყავით. დიდია ახლობელთან კონფლიქტის ალბათობა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. **კურო** — ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ტყუპები** — სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **კირჩხიბი** — დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს გარშემომყოფებთან. **ლომი** — დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** — საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **სასწორი** — ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **ღრიანკალი** — პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **მშვილდოსანი** — ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **თხის რქა** — ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **მერწყული** — ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **თევზები** — ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. არმიაში ახალწვეულის ძველებური სახელწოდება; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. ჭორების, პანიკური ინფორმაციის გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მგალობელი ჩიტი; 8. კახური ქვევრის ღვინოში არსებული მთიმლავი ნივთიერება; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი მხატვარი ქალი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა ინტერესების დამცველი გაერთიანება ძველად; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 22. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

**თარაზულად:** 1. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 5. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 7. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 9. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. მტრის ზურგში გადასხმული სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. ტურისტთა მეგზური; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. გერმანული მეტალურგიული მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ზოფხიტო; 2. გიდი; 3. ციცკა; 4. ორღანი; 6. თუთიყუში; 9. სამაია; 13. კამბუზი; 14. ყარყუმი; 15. ფირუზი; 17. კელია; 18. ტორტი; 20. იორი.

**თარაზულად**: 1. ზაგრები; 5. თართი; 7. ხილნარი; 8. ფიდიასი; 10. ქართუ; 11. კოშმა; 12. ლამარა; 16. პანეში; 17. კრეტა; 19. მონე; 21. ყურუში; 22. პიკეტი; 23. ღილინი; 24. ფიქალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. როზარიუმი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

**თარაზულად**: 1. ჰამბურგი; 5. პელე; 7. ოფელია; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. კვარტალი; 22. ფიატი; 23. მასტიფი; 24. უცნობი; 25. ვოლტი.

# საქართველოს რადიოს პირველმა არხმა სამაუწყებლო ბადიდან 26 გადაცემა ამოიღო




საქართველოს რადიოს პირველი არხის ხელმძღვანელობამ სამაუწყებლო ბადიდან 26 გადაცემა ამოიღო.

ინფორმაცია ამის შესახებ **ნინი ჭელიძემ** გაავრცელა:

– საქართველოს რადიოს პირველი არხის ხელმძღვანელობამ ისე, რომ არც უკითხავს თავისი დამფინანსებლებისთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, სამაუწყებლო ბადიდან ამოიღო გადაცემები ემიგრაციის ხმა, თეატრალური შეხვედრები, თეატრალური ნოსტალგია, გალერეა, კინოფილმი უეკრანოდ, ჩვენი ქალაქის პატარა ამბები, მშობელთა სკოლა, ოჯახის ექიმი, ჩვენი საგანძური, თავისუფალი ლიტერატურა, იქს ბოქსი, მხოლოდ ოპერა, მუსიკალური შეხვედრები, ცხოვრება ხელოვნებაში, სიტყვა ქართული, პუბლიცისტური მემკვიდრეობა, აკადემიური სივრცე, ისევ განათლების საკითხებზე, აქცენტები ისტორიაში, ფერთა მეტყველება, ხელნაწერები, საუკუნის ხმები, მუსიკალური რადიო ანშლაგი, ერთი სიმღერის ისტორია, კლასიკის საათი და ორიენტირები.

ვინ ვართ ჩვენ? არ ვართ იმის ღირსი, რომ გამოკითხვა მაინც ჩაეტარებინათ, გვინდოდა თუ არა ამ გადაცემების მოსმენა? და თუ არავინ არ ვართ, მაშინ რატომ ვუხდით ფულს პირველ არხს? ყველაზე მეტად კი იმ ახალი გადაცემების სახელწოდებებმა და მათი ავტორების პოლიტიკურმა სიმპათიებმა შემზარა, რომლის სამაუწყებლო ბადეში გაშვებას გეგმავს ქართული რადიო და განაჩენი თქვენზე მომინდია ჩემო მეგობრებო! მივმართავ ქართულ ემიგრაციას, გაგვაგონეთ თქვენი საპროტესტო ხმა, თქვენ ერთადერთი რადიო-გადაცემა მოგტაცეს და კიდევ ერთი ფართო ნაბიჯით დაგაშორეს სამშობლოს! რადიო-გადაცემების ავტორებს კი ვთხოვ გვასწავლეთ, როგორ მოგეხმაროთ და რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მავანის სურვილი, ჩაკლას ყველაფერი ქართული, მხოლოდ მის პირად სურვილად დარჩეს!

პ.ს. ახალი გადაცემების სია, რომლის გაშვებაც უნდა რადიოს ხელმძღვანელობას საეთერო ბადეში: რადიოკალენდარი, სი ბემოლ ვიტამინი, აკუსტიკა, მთელი ეს როკი, ჯაზოფრენია, ისტორიის პოპ გაკვეთილები, უცხოეთის დაიჯესტი, არტ ნიუსი, ღია ფანჯარა, მუსიკის 12 მოციქული, ჩვენი ფერმა და უცნობი მუსიკა.

# ევროპის პრესტიჟულ არქიტექტურულ პრემიაზე რვა ქართული შენობაა წარდგენილი




ევროპის პრესტიჟულ არქიტექტურულ პრემიაზე რვა ქართული შენობაა წარდგენილი. თავდაპირველად კონკურსში 15 ქართული შენობა მონაწილეობდა, თუმცა ფინალში მხოლოდ 8 მათგანი გადავიდა.

ევროკომისიამ და პრემიის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს იმ არქიტექტურული ნამუშევრების სია, რომლებიც თანამედროვე არქიტექტურისთვის 2019 წელს ევროკავშირის პრიზს მიიღებენ.

კონკურსში 38 სახელმწიფოს 238 ქალაქის 383 პროექტი მონაწილეობს. ფინალში ესპანეთში მდებარე ყველაზე მეტი შენობა მოხვდა.

ჯილდოს მიზანია, გაზარდოს ცნობიერება ხარისხისა და თავად არქიტექტურის მნიშვნელობის შესახებ ტექნოლოგიური, სამშენებლო, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ესთეტიკური კუთხით. არქიტექტურას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამშენებლო ბაზარს, სოციალური ცვლილების მოხდენა შეუძლია და კულტურული მესიჯის მატარებელია, ხოლო ხარისხი განსაზღვრავს შენობის უნივერსალურ ფასეულობებს: საგნების შინაარსს, ვიდრე მათ ფორმალურ დანიშნულებას. 383 პროექტს შორის, რომლებიც 2019 წელს ამ ჯილდოზეა წარდგენილი, 8 ქართული შენობაც მოხვდა ბლექ სი არენა, მოქსი ჰოტელ თბილისი, ფაბრიკა თბილისი, თბილისი პარკ ოტელი, თეა დარჩიას საცეკვაო სტუდიის შენობა, ყავის ქარხანა, პავილიონი ჭაჭის ცერემონიებისთვის და დეზერტირების ბაზარი.

ჟიური გამარჯვებულს 2019 წლის 7 მაისს, ბარსელონაში დაასახელებს.

# რევაზ ინანიშვილის დაბადების დღე ფოთში აღინიშნება



მწერალ რევაზ ინანიშვილის დაბადების დღე წელს ფოთში აღინიშნება.

20 დეკემბერს, მწერლის დაბადების დღეზე, ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართება რევაზ და როზა ინანიშვილების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# ლელა წურწუმია ქველმოქმედებისთვის იმღერებს



მომღერალი ლელა წურწუმია ქველმოქმედებისთვის იმღერებს.

19 დეკემბერს საქველმოქმედო ფონდი ცხოვრება მშვენიერია თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართავს საქველმოქმედო კონცერტს.

კონცერტი 23 წლის ლუკა ალიბეგაშვილის, 32 წლის ანა მამულაშვილის და 15 წლის ქეთი ქარუმიძის გადასარჩენად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ბიგ ბენდი, ლელა წურწუმია, მაკა ზამბახიძე და ბენდი ნონსტოპი, სამეფო ნაციონალური ბალეტი ფოცხიშვილები და ქართული ხმები.

კონცერტიდან შეგროვილი თანხა მთლიანად ლუკას, ანას და ქეთის გამოჯანმრთელებას მოხმარდება, რომლებიც სიცოცხლისთვის იბრძვიან.

# საქართველოს პირველი რესპუბლიკის საიუბილეო გამოფენა იუსტიციის სახლებში მიმდინარეობს




ფოთისა და ქუთაისის იუსტიციის სახლები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თემაზე გამოფენას მასპინძლობენ.

პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად მთელი წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მომზადებული გამოფენა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის იუსტიციის სახლებში მოეწყო. ექსპოზიცია 1918-1921 წლების ისტორიის ამსახველ წერილობით და ფოტომასალას მოიცავს.

არქივში დაცული მრავალფეროვანი დოკუმენტები საქართველოს ისტორიის ამ მოკლე პერიოდთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს, როგორებიცაა: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ჩამოყალიბება; უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნები, საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება...

ფოთისა და ქუთაისის იუსტიციის სახლებში გამოფენა ორ კვირას გაგრძელდება.

# ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის მინაშენზე ხარვეზი გამოვლინდა




ქალაქ ფოთში ნიკო ნიკოლაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის მინაშენზე ხარვეზი გამოვლინდა. საქმეში ოპერატიულად ჩაერთო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მათი განმარტებით, გამოვლენილ ხარვეზს სამშენებლო კომპანია უახლოესი დღეების განმავლობაში აღმოფხვრის. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „ტაოტბელი“ იმ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების საფუძველზე განახორციელებს, რომელიც მას „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან“ აქვს გაფორმებული.

ფოთის მემორიალური კოშკის თანამედროვე დიზაინის მინაშენში ნალექმა ძლიერი წვიმების შედეგად ჩაჟონა. შენობის პირველადი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ წყალმა ინტერიერში შემინული ფასადიდან შეაღწია. ბუნებრივ ნალექს ისტორიული არქიტექტურული ნაგებობა არ დაუზიანებია.

სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უკვე დაიწყო და ის სავარაუდოდ მიმდინარე კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# შოტლანდიელმა წონაში „მახინჯი“ ჯემპრის გამო დაიკლო




შოტლანდიელმა ქალმა წონაში 38 კილოგრამი მას შემდეგ დაიკლო, როდესაც იძულებული გახდა, „მახინჯი“ საშობაო ჯემპრი ჩაეცვა, ვინაიდან სხვები, უბრალოდ, არ ჩაეტია.

2016 წელს, საშობაო ჯემპრების დღეს, რომელიც ტრადიციულად დეკემბერში იმართება, 52 წლის ფიონა ედნი სამსახურში XXXL-ი ზომის ჯემპრით მივიდა. მაშინ ის 114 კილოგრამს იწონიდა და ძალიან განიცდიდა საკუთარი გარეგნობის გამო.

– ისე საშინლად გამოვიყურებოდი იმ მახინჯ ჯემპრში. მასზე რობოტი იყო გამოსახული. იძულებული გავხდი, ის მამაკაცების განყოფილებაში შემეძინა, – გაიხსენა შოტლანდიელმა.

მას შემდეგ, რაც ის იგივე ჯემპრით მეგობრებთან კოსტიუმირებულ საშობაო წვეულებაზეც მივიდა, რომლებსაც მისთვის იმის თქმა დაავიწყდათ, რომ დრეს-კოდი შეიცვალა, მან საბოლოოდ გადაწყვიტა, გამხდარიყო.

ორი წლის განმავლობაში ედნიმ საკუთარი წონის მესამედი დაიკლო და ახლა უკვე XXXL-ი ტანსაცმელის მაგივრად M ზომის ტანსაცმელს ატარებს.

– ჩემმა საშობაო ჯემპრმა არა მხოლოდ ჩემი ცხოვრება შეცვალა, არამედ შესაძლოა გადამარჩინა კიდეც. ახლა უკვე მის მიმართ უცნაურ დამოკიდებულებას განვიცდი, მან მე ახალ ადამიანად მაქცია, – განაცხადა ედნიმ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



„ახალი თაობა“ მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი თანამშრომლის

**ნათია ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ბატონებს ბიძინა, ალეკო, ადიკო, ქალბატონ მაგული ივანიშვილებს და მათ ოჯახებს ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ საყვარელი დედის, ქალბატონი

**ციცინო დვალი-ივანიშვილის**

გარდაცვალებას.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვეტერან მოჭიდავეთა სახელით, რომან რურუა, გურამ საღარაძე, თამაზ მაჭავარიანი, ვასილ ცუხიშვილი

---

სამშობიარო სახლი „იმედის კლინიკა“ მწუხარებით იუწყება კლინიკის დირექტორის, ბატონი დავით კობეშავიძის ბიძის

**გიორგი ქიჭაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**15 დეკემბრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6594 | ევრო — 3.0144 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3346 | 100 რუსული რუბლი — 4.0028 |

## ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისთვის




## თაკო ნაცვლიშვილით ფრანგული ბრენდი დაინტერესდა



ქართველი მოდელით თაკო ნაცვლიშვილით ფრანგული საცურაო კოსტიუმების ბრენდი დაინტერესდა.

ლუქ მოდელს მენეჯმენტის მოდელმა ბრენდის საცურაო კოსტიუმებით იპოზიორა.

თაკოს ახალი ფოტოები 2019 წლის უახლესი კოლექციისთვის ფოტოგრაფმა დევიდ ბელემერემ გადაიღო.

## ედი მერფი მეათედ გახდა მამა



ამერიკელი მსახიობი ედი მერფი 57 წლის ასაკში მეათედ გახდა მამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთ ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ მსახიობს და მის საცოლეს 39 წლის ავსტრალიელ მოდელ პეიჯი ბატჩერს ბიჭი შეეძინათ. მას მაქს ჩარლზი დაარქვეს, ამასთან მისი მეორე სახელი მსახიობის უფროსი ძმის პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც გასულ წელს ლეიკემიისგან გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედაც და ბავშვიც თავს კარგად გრძნობენ.

შეგახსენებთ, რომ წყვილს უკვე ჰყავთ ორი წლის გოგონა იზი. ამასთან, 57 წლის მერფის კიდევ რვა შვილი ჰყავს სხვა ქალებთან ურთიერთობიდან.

## პელემ ნეიმარი გააკრიტიკა



პელე ბოლო პერიოდში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს ხშირად აკრიტიკებს და ამჯერად ის თავის თანამემამულეს, ნეიმარს გადასწვდა.

პელეს აზრით, ნეიმარი ხშირად ეცემა და ზოგჯერ სიმულირებს კიდეც, რაც მიუღებელია:

– ნეიმარი საოცრად ნიჭიერი ფეხბურთელია, ამიტომ მას ვურჩევდი, რომ შეეშვას სიმულირებას და ამ შემთხვევაში ის კიდევ უფრო მეტად შეძლებს თავისი ნიჭის ბოლომდე გამოვლინებას. ნეიმარი პატარა აღარ არის და დროა, რომ უფრო ზრდასრული თამაში აჩვენოს.

ერთი კვირის წინ პელემ მესიც გააკრიტიკა და თქვა, რომ ის ერთფეროვანი ფეხბურთელია.

## ჯენარო გატუზო: „მარცხი ჩემი ბრალია და ბოდიშს ვიხდი"

მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ განაცხადა, რომ ოლიმპიაკოსთან მარცხი და ევროპის ლიგიდან გამოვარდნა მთლიანად მისი ბრალია, თუმცა პასუხისმგებლობა ფეხბურთელებსაც უნდა დაეკისროთ.



– ძალიან ვწუხვარ, რომ ტურნირს გამოვეთიშეთ და ყველა გულშემატკივარს ბოდიშს ვუხდი, თუმცა ეს მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ფეხბურთელებს უნდა ესმოდეთ, რომ ისინი მილანის ღირსებას იცავენ და ყოველთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯონ მოედანზე, – განაცხადა გატუზომ.

მილანმა სტუმრად ოლიმპიაკოსთან 1:3 წააგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

სამხედრო კომისარიატში სამედიცინო შემოწმებაზე მყოფი წვევამდელი კომისიის წევრებს ეუბნება:

– კიდევ, ვიფსამ!

– ფლოტში მყვინთავად წახვალ! წყალში არ ჩანს!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, გახდომის ორ საშუალებას მივაგენი.

– მართლა, რომელს?

– პირველია, ფეხით უნდა ჩახვიდე გორიდან თბილისამდე.

– რას ამბობ, ძალიან შორია! და მეორე რომელია?

– მეორეა ყოველდღე ორი საათი სექსი...

– ისე, თბილისი რა ახლოს ყოფილა, ერთი ხელის გაწვდენაზეა...

●●●

გინეკოლოგთან რიგია. ქალი მოირბენს და რიგში მყოფებს მიმართავს:

– მხოლოდ უნდა შევეკითხო!

– ჩვენ კი უნდა მხოლოდ ვანახოთ! – უპასუხა ერთ-ერთმა რიგში მდგომმა.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ლამაზ ზანგთან სექსი გინდა?

– რა თქმა უნდა!

– მაშინ სოლარიუმისთვის ფული მომეცი!

●●●

ფსიქოთერაპევტს პაციენტი ეუბნება:

– ექიმო, ერთიანად პრობლემები მაქვს, ჯანმრთელობა შემერყა, ფული აღარ მაქვს, ცოლმა მიმატოვა.

– არ ინერვიულოთ, ყველაფერს მოევლება. დაწექით ტახტზე, თვალები დახუჭეთ და თქვენთვის იმეორეთ: „შესანიშნავი ჯანმრთელობა მაქვს, მდიდარი ვარ, ყველას ვუყვარვარ და თავს მევლებიან!"

პაციენტი თვალდახუჭული წევს ტახტზე და ამბობს:

– როგორ გიმართლებთ ექიმო, და ჩემ პრობლემებს რა მოვუხერხოთ?

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– მესამე დღეა მუშაობა მეზარება და ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდეს?

– როგორც ჩანს, დღეს ოთხშაბათია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## კრიშტიანო რონალდოს 2-წლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა



კრიშტიანო რონალდო ესპანეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო გადასახადების დამალვაში და 14 იანვარს მას 2-წლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ რონალდო ციხეში არ ჩაჯდება.

მიუხედავად ამისა, კრიშტიანო ვალდებულია, რომ 14 იანვარს სასამართლოს წინაშე წარდგეს და ასევე თანხა გადაიხადოს.

რონალდომ უკვე გადაიხადა 13 მილიონი ევრო და ამით ციხეში ჩაჯდომა თავიდან აიცილა. თუ პორტუგალიელი კიდევ ერთხელ ჩაიდენს იგივე დანაშაულს, მაშინ მას რეალური სასჯელი ელის.

## რობენი შესაძლოა ჰოლანდიაში დაბრუნდეს



არიენ რობენი სეზონის ბოლოს ბაიერნს დატოვებს. ამის შესახებ უკვე ოფიციალურად ცნობილი გახდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რობენი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და რომელიმე ჰოლანდიურ გუნდში გააგრძელოს კარიერა. რობენის საკუთარ რიგებში ხილვა პსვ ეინდჰოვენს სურს, სადაც რობენი 12 წლის წინ თამაშობდა.

თვითონ რობენს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია იმაზე, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ფრანგული იავნანა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. ვულკანი ისლანდიაში; 4. სასწრაფო სამუშაო გემზე, რომელიც ეკიპაჟის მთელი შემადგენლობით სრულდება; 6. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 9. დიდი სპორტული შეჯიბრება იახტებით, ნიჩბებიანი და მოტორიანი ნავებით; 13. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 14. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 15. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 20. პატარა ტანის ცხენი.

**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 5. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 10. სააღდგომო ნამცხვარი; 11. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 12. კოლუმბიის დედაქალაქი; 16. ქალაქი კახეთში; 17. ილეთი ჭიდაობაში; 19. დამუხტული ატომი; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 22. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 23. მსოფლიოში უძველესი სპარსეთში მოჭრილი ოქროს მონეტა; 24. ანსამბლ „როლინგ-სტოუნზის" ლიდერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა